

„ჭეოქეისის“ 2022 წლის ანგარიში



წინასიტყვაობა

პატივცემულო საზოგადოებავ, გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ „ჯეოქეისის“ მესამე წლიური ანგარიში. მოგეხსენებათ, „ჯეოქეისი“ ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ეფუძნება სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების ადვოკატირებასა და ხელშეწყობას.

„ჯეოქეისი“ საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებს ანალიტიკურ მხარდაჭერას უწევს. ასეთი მხარდაჭერის მიზანია ამ ინსტიტუტებმა, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და დადგენილი მიზნების ეფექტიან განხორციელებაზე იქნება ორიენტირებული.

„ჯეოქეისის“ მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები ეფუძნება სიტუაციის რეალისტურ ანალიზს და გადაწყვეტილების მიმღებებს პრობლემების გადაჭრის რაციონალურ, ხელშესახებ შედეგზე ორიენტირებულ გზებს სთავაზობს.

2022 წელს „ჯეოქეისის“ ხელმძღვანელებმა და მკვლევრებმა სხვადასხვა ტიპის პუბლიკაცია გამოაქვეყნეს (სტატია, ინტერვიუ, ა.შ.) როგორც საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის თაობაზე, მათ შორის ეკონომიკის, სოციალური და ჯანდაცვის თემებზე, გლობალური, რეგიონალური უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების შესახებ, განსაკუთრებით რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე.

"ჯეოქეისის" წარმომადგენლებმა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, რეგიონალური საფრთხეების, გლობალური გამოწვევების საკითხებზე გააკეთეს არაერთი კომენტარი როგორც ქართული, ისე უცხოური მედიასაშუალებების მეშვეობით.

„ჯეოქეისი“ რეგულარულად მართავს დისკუსიებს საერთაშორისო პოლიტიკის, ეკონომიკის, ციფრული ტრანსფორმაციის საკითხებზე, საქართველოს როლზე საერთაშორისო სისტემაში ქართველი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. „ჯეოქეისის“ წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო, რეგიონალურ და ადგილობრივ განხილვებში, მათ შორის კონფერენციებში. გარდა ამისა, ისინი ქვეყნისათვის აქტუალურ თემებზე შეხვედრებს რეგიონებში მართავენ და საზოგადოების მედეგობის განმტკიცებას ხელს უწყობენ.

ასევე, "ჯეოქეისმა" სატრენინგო პროექტი - „საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხები“ - განახორციელა. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები - „ჯეოქეისის ალუმნები“ ჩართულები არიან ორგანიზაციის ღონისძიებებში და აქვეყნებენ სტატიებს აქტუალურ თემებზე.

ამასთანავე, „ჯეოქეისისა“ და საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმა შეიქმნა. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით ეროვნული თანხმობის დეკლარაცია შემუშავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო მიმართულებების მიხედვით (დეოკუპაცია, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება, თავდაცვა და უსაფრთხოება, ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა, სამართლიანი სოციალური პოლიტიკა). ეროვნული თანხმობის პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში პოლარიზაციის შემცირებას და შექმნას საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული მრავალმხრივი თანამშრომლობის პლატფორმა თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებში, ხოლო შემდეგ ეტაპზე - ფართო საზოგადოებაში. პროექტი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით ხორციელდება.

წინასწარ გიხდით მადლობას „ჯეოქეისის“ მესამე წლიური ანგარიშით დაინტერესებისათვის!

ვიქტორ ყიფიანი

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე

სარჩევი

ღონისძიებები და ინიციატივები.....	7
შუა დერეფნის მნიშვნელობა და საქართველოს როლი	7
„ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორის, ემილ ავდალიანის წიგნის წარდგენა გაიმართა	9
„ჯეოქეისისა“ და პოლონეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის თანაორგანიზებით ონლაინ სემინარი გაიმართა.....	10
სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ღია წერილი ნატო-ს მადრიდის სამიტთან დაკავშირებით	11
პროფესორ ხათუნა ბურკაძისა და გენერალ – მაიორ (გადამდგარი) ვახტანგ კაპანაძის ინიციატივით ჰიბრიდულ გამოწვევებთან ბრძოლის სისტემური ხედვა შემუშავდა.....	14
საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი: ასოცირებიდან კანდიდატობამდე	15
მსოფლიო ეკონომიკის გამოწვევები და საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება	18
რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო და საინფორმაციო ასპექტები	21
შავი ზღვის სტრატეგიული გარემოს სტაბილიზაციის გზები და გამოწვევები	23
რუსეთის ეკონომიკისათვის დაწესებული სანქციები და საქართველოს ეკონომიკური მედეგობა	25
რუსეთის დემარში: პოლიტიკური და სამხედრო შედეგები.....	26
ვარშავის უსაფრთხოების ფორუმის დემოკრატიის ქსელის მიერ ორგანიზებული ვებინარი	28
ჯეოქეისის დისკუსიები სავაჭრო პოლიტიკის შესახებ	29
30 წელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან: მიღწევები, გამოწვევები და შესაძლებლობები.....	30
რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება: რა ხდება უკრაინაში და მის ირგვლივ.....	33
რეგიონული სტაბილურობისა და თანამშრომლობის გზების ძიება სამხრეთ კავკასიაში 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ: შეფასებები საქართველოსა და თურქეთის პერსპექტივიდან.....	34
აპარტიდის დემოკრატიით შეცვლის სამხრეთ აფრიკული გამოცდილება: მიღწევები, მიმდინარე გამოწვევები და გაკვეთილები გლობალური საზოგადოებისთვის.....	35
„ჯეოქეისის“ წარმომადგენლების მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობაში	39

ნიკოლოზ ხატიაშვილი ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრად მესამე ვადით აირჩიეს	39
„ჯეოქეისის“ მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში	39
ვიქტორ ყიფიანი პროგრამის - Innovative Training Network "MARKETS"- მონაწილეებს შეხვდა	42
ხათუნა ბურკაძემ, თბილისის ამერიკული კუთხის ეგიდით, ახალგაზრდებისათვის კიბერუსაფრთხოების საკითხებზე საჯარო ლექცია ჩაატარა	43
„ჯეოქეისის“ მკვლევარმა კახი ქენქაძემ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „ომი და მიგრაცია“ მონაწილეობა მიიღო.....	44
მალმოს უნივერსიტეტის მიწვევით ელჩმა დავით აფციაურმა ონლაინ სემინარი გამართა	45
ბაქარ ფალავანდიშვილმა კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ საქართველოში პირველი საერთაშორისო კონფერენციის სესიას მოდერაცია გაუწია	46
ვიქტორ ყიფიანი საქართველოში სომხეთის ელჩს შეხვდა	47
ვიქტორ ყიფიანმა ევროკავშირის ახალ ელჩთან შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.....	47
ვიქტორ ყიფიანი ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა.....	48
გიორგი აბაშიძილი და ნიკოლოზ ხატიაშვილი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პროექტში „აშენე საქართველო“ ჩაერთნენ.....	49
ვიქტორ ყიფიანი თურქეთის ელჩს, ბატონ ალი ქაან ორბაის შეხვდა.....	50
ხათუნა ბურკაძემ საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთის მიერ ძალის გამოყენებლობის პრინციპის ხელყოფის ფაქტებზე ისაუბრა.....	50
ვიქტორ ყიფიანი ოქსფორდის ფორუმზე მომხსენებლად მიიწვიეს	52
ნიკოლოზ ხატიაშვილმა ამერიკისმცოდნეობის 23-ე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო.....	53
პროექტები	54
GEO Intel Project	54
ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმა.....	54
ხათუნა ბურკაძემ და ვალერი ჩეჩელაშვილმა, ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმის ფარგლებში, ეროვნული თანხმობის დეკლარაცია ზუგდიდში წარადგინეს.....	55
ხათუნა ბურკაძემ და ვალერი ჩეჩელაშვილმა, ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმის ფარგლებში, ეროვნული თანხმობის დეკლარაცია ბათუმში წარადგინეს.....	56
გიორგი ანთაძემ და თორნიკე შარაშენიძემ, ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმის ფარგლებში, ეროვნული თანხმობის დეკლარაცია გორში წარადგინეს.....	56

ვახტანგ კაპანაძემ და დავით კაპანაძემ ეროვნული თანხმობის დეკლარაცია ახალციხესა და ქუთაისში წარადგინეს.....	56
სატრენინგო კურსი „საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხები“	57
ინტერვიუები და სტატიები.....	60
ვიქტორ ყიფიანი - „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე	60
კრიზისის ეკონომიკა: ტენდენციები, თავისებურებები და შესაძლო განვითარება	60
თანამედროვე უსაფრთხოების დილემა: ქართული მრავალწახნაგა (მეორე ნაწილი)	61
თანამედროვე უსაფრთხოების დილემა: ქართული მრავალწახნაგა (პირველი ნაწილი)	62
ხათუნა ბურკაძე - „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მიმართულების დირექტორი, პროფესორი	63
ხათუნა ბურკაძე: „პროაქტიული საგარეო პოლიტიკით პარტნიორების მხარდაჭერის გაზრდასა და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას შევძლებთ“	63
ხათუნა ბურკაძე: „საფრთხეების ზრდის ფონზე, როგორც ევროკავშირში, ასევე ნატო-ში ინტეგრაცია დასაჩქარებელია“	64
ხათუნა ბურკაძე: „ნატო რუსეთის აგრესიის პირისპირ მყოფი პარტნიორების მხარდაჭერას ზრდის, რაც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის“	65
გიორგი აბაშიშვილი - „ჯეოქეისის“ ეკონომიკური მიმართულების დირექტორი	67
ეკონომიკური ზრდის შემცირება, ინფლაცია - როგორ უნდა უპასუხოს საქართველომ მოსალოდნელ რისკებს.....	67
დივერსიფიკაციის შიში - გაკვეთილი, რომელიც საქართველომ ვერ ისწავლა	68
აზერბაიჯანი-სომხეთის მოლაპარაკებები და საქართველოს ახალი სატრანზიტო ამოცანა.....	69
გიორგი ანთაძე - „ჯეოქეისის“ თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი	70
გიორგი ანთაძე: „გლობალური და რეგიონული მოვლენები საქართველოს მზარდ როლზე მოასწავებს, საჭიროა შექმნილი ვითარების სწორად გამოყენება, ამიტომ შიდაპოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციას დიდი მნიშვნელობა ექნება“	70
აშშ-ის ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია: აქცენტები და გამოწვევები	71
ჰიბრიდული ომის ტყვეობაში: რუსეთ-უკრაინის ომის რამდენიმე ასპექტის შესახებ	71
ზვიად კირტავა - „ჯეოქეისის“ ჯანდაცვის მიმართულების დირექტორი, პროფესორი .	73
ზვიად კირტავა: „აუცილებელია სიცხის და გრიპის სიმპტომების შემთხვევაში თვითიზოლაციის წესების დაცვა, გვახსოვდეს, რომ ინფექციის ფართო გავრცელება საზოგადოებისთვის მძიმე გამოცდად შეიძლება იქცეს“	73
ზვიად კირტავა: „კორონავირუსი - პანდემიის დასასრული თუ დროებითი ამოსუნთქვა?“	75
პანდემიის მღელვარე და იმედიანი ზამთარი.....	77
ემილ ავდალიანი - „ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი	79
ემილ ავდალიანი - გრძელვადიანი ტრენდი ცალსახაა - შავი ზღვა დღევანდელი გეოპოლიტიკის ეპიცენტრს წარმოადგენს.....	79
ვახტანგ კაპანაძე, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ – მაიორი (გადამდგარი), მრჩეველი.....	80
ვახტანგ კაპანაძე: „რუსები მილიონ-ნახევარი არმიითაც ვერაფერს მიაღწევენ“	80

ვახტანგ კაპანაძე: „ის, რაც ბუჩაში ვნახეთ, არის დემორალიზებული, შეშინებული, სტიქიური და ველური ინსტინქტების გამოვლენა, ამოხეთქილი ბოროტება“ 80

ვახტანგ კაპანაძე: „რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ინიციატივა დაკარგეს - გარკვეულწილად, დაისადგურა ოპერატიულმა პაუზამ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეტაკებების ინტენსივობა ნაკლებია და ნაკლები სისხლი იღვრება“ 82

ნიკოლოზ ხატიაშვილი - „ჯეოქეისის“ მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, საერთაშორისო მდივანი 83

ნიკოლოზ ხატიაშვილი: „საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონული სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშეწყობის პროცესში“ 83

„შეიდან მტერი, შეიგანი საკუთარი თავი და ათასობით ბრძოლას დაუმარცხებლად ჩაატარებ“ - როგორია სადაზვერვო ინფორმაციის მნიშვნელობა რუსეთ-უკრაინის ომში? 84

NATO-ს გაფართოება ჩრდილოეთით 84

გიორგი არზიანი - განათლების საკითხების მკვლევარი 86

ფინანსების გავლენა განათლების პოლიტიკაზე 86

სალომე ბლადაძე - „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი 88

ფსევდო-ღირსების სადარაჯოზე: ქალი, როგორც „ღირსების“ თამასა 88

„ჯეოქეისის“ ალუმნი 89

„ჯეოქეისის“ ალუმნის, ილია ჯახაიას ორგანიზებით ხათუნა ბურკაძემ და გიორგი აბაშიშვილმა ახალგაზრდებისათვის საჯარო ლექციები ჩაატარეს 89

ინფოგრაფები 91

ღონისძიებები და ინიციატივები

შუა დერეფნის მნიშვნელობა და საქართველოს როლი

თარიღი: 13.12.2022

„ჯეოქეისისა“ და საქართველოს ბანკის ერთობლივი პროექტის, „ეკონომიკური ფორუმის“ ფარგლებში მორიგი დისკუსია გაიმართა. შეხვედრის მთავარი



თემა იყო - „შუა დერეფნის მნიშვნელობა და საქართველოს როლი“. პანელურ განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ლევან დავითაშვილი, „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი და ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანების თავმჯდომარე, გიორგი ჯახუტაშვილი.

დისკუსიას მოდერაციას უწევდა „ჯეოქეისის“ ეკონომიკური მიმართულების დირექტორი, გიორგი აბაშიშვილი. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ სახელმწიფო და ბიზნეს სექტორის, ანალიტიკური და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

ვიცე-პრემიერმა იმ ახალ შესაძლებლობებზე ისაუბრა, რომლებიც საქართველოსთვის შუა დერეფნის მიმართ გაზრდილმა ყურადღებამ გააჩინა. ლევან დავითაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი დღის წესრიგი, ევროპასთან დაკავშირებადობის კუთხით, სულ უფრო აქტუალური და პერსპექტიული ხდება და ამ პროცესში ბიზნეს სექტორისა და ანალიტიკური საზოგადოების ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია.

„დისკუსიის მთავარი თემა იყო საქართველოს ახალი შესაძლებლობების მიმოხილვა შუა დერეფნის უპირატესობის კუთხით, საქართველოს ახალი როლის განხილვა ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო, ლოჯისტიკური,

ენერგეტიკული და ციფრული კავშირების მიმართულებით. დისკუსიაზე გაანალიზებული იყო სახელმწიფოს პოზიცია, მოქმედებები, პარტნიორების ჩართულობის შესაძლებლობები, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები და პროექტები - ბიზნესისა და ანალიტიკური სექტორის როლი ამ პროცესებში. ამავდროულად, დისკუსიის ფარგლებში გამოიკვეთა ის ძირითადი გამოწვევები, საჭიროებები და შესაძლებლობები, რომელიც დგას ქვეყნის ახალი შესაძლებლობის შუა დერეფნის უპირატესობით სარგებლობის შესახებ. ჩვენ დავინახეთ, რომ აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობის მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან სრული მზადყოფნა არსებობს,“- განაცხადა „ჯეოქეისის“ ეკონომიკური მიმართულების დირექტორმა, გიორგი აბაშიშვილმა.

„დღევანდელი შეკრების მიზეზი იყო პრაქტიკული ეკონომიკის პრაქტიკულ საკითხებზე საუბარი. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ პრაქტიკულობაზე, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, კავშირები ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რითაც შეიძლება ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი ქართული სივრცე, რაც შეიძლება მეტად ინტეგრირდეს როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო ეკონომიკასთან. ამდენად, შუა დერეფნის თემა დღეს და ხვალ იქნება ის აქტუალური საკითხი, რაზედაც ჩვენ შეგვიძლია, სწორი მიდგომის შემთხვევაში, ჩვენი ეკონომიკური და, ასევე, გეოპოლიტიკური დივიდენდი დავაშენოთ,“ - აღნიშნა „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა.

„ეკონომიკური ფორუმი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კერძო და საჯარო სექტორს შორის აზრების კოორდინაციის კუთხით. დისკუსიისას, მოვისმინეთ შუა დერეფნის მნიშვნელობისა და საქართველოს როლის შესახებ, როგორც პოლიტიკური, ისე ბიზნეს ასპექტები, სადაც ყურადღება გამახვილდა სწორედ იმ საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ მსჯელობაზე, რაც ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ლოჯისტიკური ფუნქციის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულ პროცესს ძალიან ბევრი დაინტერესებული მხარე ჰყავს და ვისურვებდი, რომ მსგავსი მსჯელობისა და დისკუსიის მიზნით ხშირად ვიკრიბებოდეთ“-განაცხადა გიორგი ჯახუტაშვილმა.

„ეკონომიკური ფორუმის“ ფარგლებში მიმდინარე დისკუსიების მთავარი მიზანია სახელმწიფო, ანალიტიკური და ბიზნესის სექტორის მხრიდან გაანალიზებული

იყოს საქართველოს წინაშე მდგარი აქტუალური გამოწვევები და ახალი შესაძლებლობები ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით.



„ჯეოქეისის“
აღმოსავლეთმცოდნეობის
მიმართულების
დირექტორის, ემილ
ავდალიანის წიგნის
წარდგენა გაიმართა

თარიღი: 16.11.2022

„ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორის, ემილ ავდალიანის წიგნის წარდგენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

ემილ ავდალიანის წიგნი სახელწოდებით „მსოფლიოს ახალი წესრიგი და პატარა რეგიონები“ (New World Order and Small Regions. The Case of South Caucasus) ცნობილმა ბრიტანულმა გამომცემლობამ Palgrave Macmillan-მა სექტემბერში გამოსცა.

წიგნი, რომელიც განკუთვნილია, როგორც სამხრეთ კავკასიის მკვლევრებისთვის, ასევე ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველისთვის, მოიცავს ევრაზიაში დიდი ძალების გაზრდილი მეტოქეობის ფონზე, სამხრეთ კავკასიაში განვითარებული გეოპოლიტიკური მოვლენების ახლებურ გაანალიზებას.

წიგნში ასევე მოცემულია სამხრეთ კავკასიაში რუსეთის, ირანის და თურქეთის ინტერესების ახლებური ანალიზი. არანაკლებ დიდი ყურადღება ეთმობა ჩინეთსა და აშშ-ის შორის ახალი მსოფლიო წესრიგისთვის ბრძოლის ფონზე, რეგიონში ჩინური ინტერესების განხილვას.

„დღეს, სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკის უახლესი კვლევები ფოკუსირებულია სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე, ასევე, თითოეული რეგიონალური აქტორის (რუსეთი, თურქეთი და ირანი) კავშირებზე

რეგიონის ერთ ან სამივე სახელმწიფოსთან. ჩემი მიზანი იყო წიგნში წარმომეჩინა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები ევრაზიაში არსებული ცვლილებების ფონზე, რაც ნაკლებად გვხვდება თანამედროვე ლიტერატურაში. მოხარული ვარ, რომ წიგნი ავტორიტეტულმა გამომცემლობამ გამოსცა და ვიმედოვნებ, რომ მკითხველისთვის მეტად საინტერესო იქნება“, - აღნიშნა ემილ ავდალიანმა.

„ჯეოქეისის“ და პოლონეთის
საერთაშორისო საქმეთა
ინსტიტუტის
თანაორგანიზებით ონლაინ
სემინარი გაიმართა



თარიღი: 19.10.2022

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა და ცენტრის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორმა, ემილ ავდალიანმა მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის (PISM) და „ჯეოქეისის“ თანამშრომლობით ორგანიზებულ დახურულ ონლაინ სემინარში, რომელიც საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის პერსპექტივას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა.

სემინარზე სიტყვით გამოვიდნენ ნიკოლოზ სამხარაძე, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე; აგნეშკა ფილიპიაკი, გამოცემის „Forbes Women“ მთავარი რედაქტორის მოადგილე; ემილ ავდალიანი, „ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი და ვოიჩეკ გორეცკი, Centre for Eastern Studies (OSW)-ის თურქეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის უფროსი ანალიტიკოსი.

ვიქტორ ყიფიანმა და PISM-ის უფროსმა ანალიტიკოსმა არკადიუმ ლეგიეცმა სემინარის სადისკუსიო განხილვებს მოდერაცია გაუწიეს. სემინარის მონაწილეებს, ასევე, სიტყვით მიმართა პოლონეთის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის დირექტორმა, სლავომირ დებსკიმ.

დისკუსია კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა და შეჯამებისას აღინიშნა, ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, მსგავსი თემატიკის ღონისძიებები კვლავაც გაიმართება.



სამოქალაქო საზოგადოების
ერთობლივი ღია წერილი
ნატო-ს მადრიდის სამიტთან
დაკავშირებით

თარიღი: 19.05.2022

ნატო-ს გენერალურ მდივანს,
ბატონ იენს სტოლტენბერგს,

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მეთაურებს და საგარეო საქმეთა მინისტრებს,
პირველ რიგში, გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი ღრმა პატივისცემა თქვენ მიმართ და
ხაზი გავუსვათ საქართველოსა და ნატო-ს შორის არსებული ურთიერთობების
მნიშვნელობას, რომელიც არაერთ წელს ითვლის.

ჩვენ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების, ანალიტიკური და
კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, ექსპერტები, ყოფილი დიპლომატები,
მკვლევრები და საზოგადოების სხვა წევრები ჩვენი წერილით კიდევ ერთხელ
ვადასტურებთ, რომ ნატო-ს წევრობა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს, უმთავრეს
საგარეო პოლიტიკურ ამოცანასა და უსაფრთხოების უალტერნატივო გარანტიას
წარმოადგენს, რაც გამყარებულია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის
ნებითა და საქართველოს კონსტიტუციის 78- ე მუხლით. აღნიშნული მუხლის
თანახმად, კონსტიტუციურმა ორგანოებმა, თავიანთი უფლებამოსილების
ფარგლებში, უნდა მიიღონ ყველა ზომა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების
ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობის მიზანია, ქვეყნისა და
რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერება, საქართველოს სუვერენიტეტის

განმტკიცება, სტაბილურობის, განვითარების და მშვიდობის ხელშეწყობა, და ქართველი ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხო მომავალის უზრუნველყოფა.

1992 წლიდან საქართველომ დაიწყო ნატო-სთან თანამშრომლობა. მიუხედავად გამოწვევებისა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში, ალიანსის წევრი ქვეყნების მხარდაჭერით, ჩვენ შევძელით საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაცია და ნატო-სთან თავსებადობის თვალსაზრისით მთელი რიგი ინიციატივების განხორციელება. 20 წლის წინ, 2002 წელს ნატო-ს პრადის სამიტზე საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ხოლო 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსათვის თვისობრივად ახალი ეტაპის დაწყებას გულისხმობდა, რადგან ქვეყანამ ალიანსის ყველა წევრისგან მიიღო პოლიტიკური დაპირება იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატო-ს წევრი სახელმწიფო გახდება. ჩვენი ურთიერთობების დინამიური განვითარების შედეგად, დღეს გვაქვს ძალიან პრაქტიკული და შედეგებზე ორიენტირებული ფორმატები, რომლებიც მოიცავენ ნატო-საქართველოს კომისიას (NGC), წლიურ ეროვნულ პროგრამას (ANP) და ნატო-საქართველოს განახლებულ არსებით პაკეტს (SNGP). აღნიშნულმა ინსტრუმენტებმა ქვეყნის ალიანსში წევრობისათვის მომზადების შესაძლებლობები შექმნეს.

ბოლო წლებში, ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციის მექანიზმების ფარგლებში, განხორციელებული რეფორმებისა და ალიანსის წევრი ქვეყნების სხვადასხვა ტიპის დახმარების საფუძველზე, საქართველო უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყნიდან ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობ ქვეყანად იქცა. სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მონაწილეობით საქართველოს თავდაცვის ძალებმა შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი არა მხოლოდ ევროატლანტიკური უსაფრთხოების დაცვის, არამედ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. აღსანიშნავია, რომ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოებს შორის საქართველო უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო. ასევე,

საქართველოს ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობა დადასტურებულია არაერთი ოფიციალური საერთაშორისო შეფასებითა და ანგარიშით.

2008 წელს, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის ხელყოფით, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში შეჭრამ და ქვეყნის 20%-ის ოკუპაციამ, 2014 წელს ყირიმის ანექსიამ და ამჟამად, კრემლის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიულმა მოქმედებებმა, კიდევ ერთხელ ყველას დაგვანახა, რომ რუსეთი მიზნად ისახავს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის რღვევას, საერთაშორისო ინსტიტუტების ქმედითობის ეჭვქვეშ დაყენებას და პოსტსაბჭოთა სივრცეზე ე.წ. გავლენის სფეროების აღდგენას, რისთვისაც ის ყველა კანონგარეშე მეთოდს იყენებს და უგულბელყოფს ფუნდამენტურ ნორმებს. ნათელია, რომ უკრაინაში მიმდინარე აგრესიის ფონზე, რუსეთის შემდეგი სამიზნე შესაძლოა, გახდეს საქართველო, რომელიც მისი წრაფის ალიანსის წევრობისკენ.

დღეს, როგორც არასდროს, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საჭიროა სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, შეჩერდეს ომი უკრაინაში, ხოლო, მეორე მხრივ, მიიღონ მტკიცე გადაწყვეტილებები რუსეთის შემაკავებელ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით იმისათვის, რომ მომავალში კრემლმა ვერ შეძლოს აგრესიული მოქმედებების განხორციელება სუვერენული სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ. არსებულმა მოცემულობამ კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახადა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების საკითხი. ამ კონტექსტში საქართველოს, როგორც შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა როგორც უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ, შეცვლილი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, 2022 წლის ნატო-ს მადრიდის სამიტი უნდა იქცეს გადამწყვეტი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფორმატად. ეს კრიტიკულად აუცილებელია რუსეთის აგრესიის შესაკავებლად და როგორც ევროატლანტიკური, ასევე გლობალური უსაფრთხოების დასაცავად. ვთვლით, რომ აუცილებელია საქართველოსთვის უსაფრთხოების ახალი



საქართველოს ევროინტეგრაციის
პროცესი: ასოცირებიდან
კანდიდატობამდე

თარიღი: 19.05.2022

„ჯეოქეისის“ ორგანიზებით
ონლაინ დისკუსია „საქართველოს

ევროინტეგრაციის პროცესი: ასოცირებიდან კანდიდატობამდე“ გაიმართა.

ონლაინ დისკუსიის მიზანი იყო საქართველოს ევროინტეგრაციის ეტაპების ანალიზი, საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით წარდგენილი განაცხადის ფარგლებში ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გადაცემული კითხვარის ორივე შევსებული ნაწილის მიმოხილვა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცედურების განხილვა.

ონლაინ განხილვის მთავარი მომხსენებელი გახლდათ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, დავით ბუჯიაშვილი.

დისკუსიას მოდერატორობას უწევდნენ „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი და ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულების დირექტორი, პროფესორი ხათუნა ბურკაძე.

ვიქტორ ყიფიანმა დისკუსიის დასაწყისში აღნიშნა: „ჩვენ ისტორიულად ვართ ევროპული სივრცის შემადგენელი ნაწილი. იმისთვის რომ აღდგეს სრული სამართლიანობა, ჩვენ უნდა გავხდეთ ევროპული პოლიტიკური სივრცის ნაწილიც“.

ხათუნა ბურკაძემ განაცხადა: „მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებისაკენ და პარტნიორები უნდა დავარწმუნოთ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აუცილებლობაში, განსაკუთრებით გეოპოლიტიკური რეალობის

გათვალისწინებით. რუსეთის აგრესიის სამიზნე ქვეყნებს: უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკას სჭირდებათ ევროპული პერსპექტივის გამოკვეთა და ევროინტეგრაციის გზაზე მეტი შესაძლებლობების მინიჭება“.

ამასთანავე, ხათუნა ბურკაძემ წარადგინა ინიციატივა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ციფრული დიპლომატიის ოფისის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელიც გააერთიანებს კრეატიულ, ციფრული უნარების მქონე დიპლომატებს. მისი თქმით, აღნიშნული ოფისის მიზანი იქნება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მსოფლიოს, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს მოუთხრონ მეტი საქართველოს ისტორიის, კულტურის, მისი ევროპული ღირებულებების თაობაზე, რაც გააძლიერებს სტრატეგიულ კომუნიკაციას გარე აუდიტორიასთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა, დავით ბუჯიაშვილმა დეტალურად ისაუბრა იმ გაწეულ სამუშაო პროცესზე, რომელიც კითხვარის შევსებას უკავშირდებოდა. მან აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფო უწყება, 24 საათიან სამუშაო რეჟიმში, აქტიურად იღებდა პროცესში მონაწილეობას და ჰქონდათ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მხარდაჭერა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დაწინაურებულ სამ ქვეყანას, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას გვაქვს საერთო მიზნები, რაც გამოიხატება ასოცირების შეთანხმებებში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სივრცესა და ვიზალიბერალიზაციაში. ევროკავშირის გაფართოებისას უპირატესია ხოლმე რეგიონული მიდგომა და სწორედ ამიტომაც ვფიქრობ, გათვალისწინებული იქნება არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია, ამ სამი ქვეყნიდან რომელიმეს დატოვება არავისთვის წარმატების მომტანი არ იქნება და მხოლოდ რუსეთის ნარატივს გაამყარებს, რომელიც გამუდმებით ამბობს, რომ ჩვენ არავინ არსად მიგვიღებს,“-განაცხადა დავით ბუჯიაშვილმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის, დავით ბუჯიაშვილის თქმით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მისიები თავდაუზოგავად მუშაობენ, რათა პარტნიორები დაარწმუნონ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების აუცილებლობაში. დავით ბუჯიაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მოსახლეობის უპირობო მხარდაჭერაზე და აღნიშნა, რომ პროცესს ზურგს უმაგრებს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერა ევროინტეგრაციის პროცესისადმი, რომელიც მთლიან სამეზობლოში და რიგ ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებითაც კი არის ძალიან მაღალი და მოსახლეობის 82% შეადგენს. მისი განმარტებით, საგარეო კომუნიკაციასთან ერთად უმნიშვნელოვანესია შიდა კომუნიკაციის ფაქტორი, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია და რეალისტური მოლოდინები.

„ჩემი აზრით, საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება იქნება სწორი გადაწყვეტილება, რადგან საქართველოსაც არანაკლები ფასი აქვს გადახდილი 2008 წლის ომისა და მრავალწლიანი ოკუპაციის სახით. საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა ისეთი მაღალია, როგორც ზოგიერთ ევროკავშირის ქვეყანაშიც კი არ არის. ასევე, დღეს ევროკავშირის ქვეყნებისთვის მთავარი პრიორიტეტი არის ახალი ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიება და ამ მხრივაც საქართველოს ფაქტორი, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, სტრატეგიულია,“ - განაცხადა დავით ბუჯიაშვილმა.

დისკუსიის შეჯამებისას ვიქტორ ყიფიანმა ყურადღება გაამახვილა ბოლოდროინდელი მოვლენების განვითარებისას გამოვლენილ არაჯანსაღ პროცესებზე, რომლებიც ყველასთვის მხოლოდ ზიანის მომტანია.

იხილეთ ონლაინ დისკუსია:

<https://www.facebook.com/events/1470635626682824?ref=newsfeed>

მსოფლიო ეკონომიკის
გამოწვევები და საქართველოს
სასურსათო უსაფრთხოება

თარიღი: 17.05.2022

„ჯეოქეისის“ და „კომერსანტის“
ერთობლივი პროექტის



„კომერსანტის კვლევითი ინიციატივის“ ფარგლებში პირველი ონლაინ დისკუსია გაიმართა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის გამოწვევებსა და საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს ეძღვნებოდა.

ონლაინ დისკუსიას მოდერაცია „ჯეოქეისის“ მკვლევარმა ეკონომიკის მიმართულებით და მედიაჰოლდინგის მმართველმა პარტნიორმა გიორგი აბაშიშვილმა გაუწია.

გიორგი აბაშიშვილის ინიციატივით გამართულ ვებინარში მოწვეული მომხსენებლები გახლდნენ სახელმწიფო, კერძო და ანალიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები: ვიქტორ ყიფიანი – ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, გელა ხანიშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ლევან სილაგავა – ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი და შალვა ფიფია – USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის CNFA ხელმძღვანელის მოადგილე.

დისკუსიაში მონაწილეობისას ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა რიგი ლოგისტიკური პრობლემები გამოიწვია. მისი თქმით, შავ ზღვაზე თავისუფალ ნაოსნობას სირთულეები შეექმნა, რაც უკრაინის პორტების ბლოკადით არის განპირობებული, ამ ყველაფერმა კი სურსათის ფასებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ყიფიანის თქმით, სასურსათო უსაფრთხოება მხოლოდ გარე ფაქტორებზე დამოკიდებული არ არის და ის შიდა სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხიცაა.

„ომში ჩართული ორივე მხარე არის პურის კალათის ორი ძალიან მსხვილი გლობალური მოთამაშე. მაგალითად, სხვა პირობებთან ერთად საკვებზე მაღალმა ფასებმა განაპირობა პაკისტანის პრემიერ-მინისტრის მიმართ სახალხო უკმაყოფილება, რამაც მისი გადაყენება გამოიწვია. იგივე პრობლემამ იჩინა თავი პერუს პრეზიდენტის დღის წესრიგში, ასევე იმპორტირებული ხორბლის დეფიციტს განიცდის ეგვიპტე, რომელიც ძალიან ძლიერად – 80%-ით არის რუსული ხორბლის იმპორტზე დამოკიდებული, რომ ავიღოთ სტაბილურობით გამორჩეული საფრანგეთი, იქაც საკვებზე მაღალი ფასების საკითხი საპრეზიდენტო არჩევნების დღის წესრიგშიც იდგა. ერთი რამ, რაც უნდა აღინიშნოს, ჩვენ ვსაუბრობთ იმპორტის დეფიციტზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ მსოფლიოში არასაკმარისი ხორბალია, პირიქით მსოფლიოში გლობალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი ხორბალია, მაგრამ საუბარია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მოხდება მიწოდება-მომარაგებაში ომის შედეგად წარმოქმნილი დეფიციტის აღმოფხვრა“, - აღნიშნა ვიქტორ ყოფიანმა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გელა ხანიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად გლობალურად არსებული ვითარებისა და მრავალი გამოწვევისა ქვეყანაში სტაბილურობის 100% იანი განცდაა, რადგან ქვეყანაში ფქვილის გარდამავალი მარაგებია.

„საბედნიეროდ, საქართველოს, სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით საფრთხე არ შექმნია, როგორც კოვიდის პირობებში, ასევე ახლა, მიმდინარე პერიოდში. მუდმივად ვაკონტროლებთ მარაგებს ქვეყანაში და საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება დაცულია იმ ძირითადი პოსტულატის გამო, რომ ქვეყანაში არის ღია, თავისუფალი ბაზარი. მხოლოდ ზეთის 300-ზე მეტი იმპორტიორი გვყავს და მარაგებთან დაკავშირებული პრობლემები არ გვაქვს. თუმცა ქვეყანა ვერ გაექცევა ღირებულებით ნაწილს, მსოფლიოში წარმოებულ გამძვირებულ პროდუქციასა და გამძვირებულ ლოჯისტიკას. ფქვილის გარდამავალი მარაგი ახლა სტანდარტულ თვეში შემოსულ 1000 ტონაზე მეტი მოცულობისაა და 17 000 ტონის ფარგლებშია. ასევე აღსანიშნავია, იმპორტ-ექსპორტის მიმართულება, სარფისა და ლარსის საბაჟოებზე ტვირთნაკადების მკვეთრმა

ზრდამ გამოიწვია შეფერხებები, თუმცა მიუხედავად შეფერხებისა, გასულ წელთან შედარებით საქართველოს ექსპორტის 2%-იანი ზრდა მაინც გვიფიქსირდება, ჩვენ ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ,“ -განაცხადა გელა ხანიშვილმა.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან სილაგავამ ვებინარში მონაწილეობისას აღნიშნა, რომ ხორბლის იმპორტი ნებისმიერ შემთხვევაში მეტ სარგებელს იძლევა ქვეყნისთვის, თუნდაც იმის გამო, რომ სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების გარდა, ქვეყანაში რჩება ქატოც, რომელზეც დღეს ასევე საკმაოდ მაღალი ფასი ფიქსირდება. მისივე თქმით, რომ მომხდარიყო ხორბლის სუბსიდირება, იგივე წისქვილკომბინატების მიერ გადახდილი გადასახადებიდან, რასაც დაახლოებით 3 მილიონი ლარი დასჭირდებოდა, ქვეყანაში შენარჩუნდებოდა ამ დარგის სამუშაო ადგილები, შეიქმნებოდა ხორბლის სწორი მარაგები და მეტ სარგებელსაც მიიღებდა ქვეყანა. „ხორბლის იმპორტის გაძვირების გამო შექმნილი პრობლემების მოგვარების მიმართულებით, სახელმწიფოს მეტი სარგებლიანობის პრინციპით უნდა ესარგებლა, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა დარგში სამუშაო ადგილების შენარჩუნება, ბიუჯეტში გადასახადების მობილიზება და ხორბლის მარაგების შექმნა,“ - განაცხადა ლევან სილაგავამ.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის CNFA ხელმძღვანელის მოადგილემ შალვა ფიფიამ ყურადღება გაამახვილა ორ მნიშვნელოვან ასპექტზე, მისი თქმით საქართველოს ხორბლის წარმოების თვითკმარობის კოეფიციენტი ძალიან დაბალია და 15 % შეადგენს ასევე გამოყო მეორე ასპექტი, რომ საიმპორტო ბაზარი არის ნაკლებ დივერსიფიცირებული.

„ომმა ბუნებრივია დაამძიმა სიტუაცია და ეს ნათლად იკვეთება იმ 4 კომპონენტის მიხედვით როგორებიცაა: სურსათის არსებობა, სურსათის ხელმისაწვდომობა, სურსათის წარმოება და სურსათის გამოყენება. როგორც ვიცით, 30 მლნ ტონა ხორბალი და სიმინდი გაჩერებულია უკრაინის პორტებში, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს.

ჩვენ ადგილობრივი წარმოების ნებისმიერი რაოდენობით გაზრდა მოგვცემს შესაძლებლობას შევამციროთ სასურსათო რისკები. წარმოების გაზრდის მიმართულებით მივესალმები სამინისტროს ინიციატივას, თუმცა ამის განხორციელება მოკლე ვადაში შესაძლებელი არ მგონია. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ შეზღუდული მიწის რესურსების ქვეყანა ვართ, აქ გზა არა საჰაერო ფართობების გაზრდაში, არამედ საჰაერო მოსაველიანობის ზრდაშია, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსის დამატება და დროის საკმაო პერიოდი სჭირდება“-განაცხადა შალვა ფიფიაძე.

„ჯეოქეისის“ და „კომერსანტის“ ერთობლივი პროექტის „კომერსანტის კვლევითი ინიციატივის“ ფარგლებში დისკუსიები მომავალშიც გაიმართება და ბევრ საინტერესო და აქტუალურ საკითხს განიხილავს.

იხილეთ სრულად:

https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=5459188160778864



რუსეთ-უკრაინის ომის
სამხედრო
და საინფორმაციო ასპექტები

თარიღი: 21.04.2022

„ჯეოქეისის“
ორგანიზებით რუსეთ-უკრაინის
ომის სამხედრო და საინფორმაციო

ასპექტების შესახებ ონლაინ დისკუსია გაიმართა.

ონლაინ დისკუსიას „რუსეთ-უკრაინის ომის სამხედრო და საინფორმაციო ასპექტები“ მოდერაციას უწევდა „ჯეოქეისის“ მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ნიკოლოზ ხატიაშვილი.

ნიკოლოზ ხატიაშვილმა დისკუსიის დასაწყისში აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაცია რუსეთის საგარეო პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდა.

„რუსეთი უკრაინასთან ომის წარმოების ყველა მეთოდს იყენებს. მასშტაბური სამხედრო მოქმედებების პარალელურად, ის აწარმოებს საინფორმაციო ომსაც. დღეს ვხედავთ, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აქტიურად იყენებს დეზინფორმაციას და პროპაგანდას,“ - აღნიშნა ნიკოლოზ ხატიაშვილმა.

დისკუსიისას საგარეო პოლიტიკის საბჭოს დირექტორმა და იაგელონიის უნივერსიტეტის მიწვეულმა პროფესორმა, გრიგოლ ჯულუხიძემ დეტალურად მიმოიხილა რუსული დეზინფორმაციის ნარატივი და მნიშვნელოვანი ასპექტები.

„რუსეთი არის სახელმწიფო, რომელიც 2004 წლიდან უფრო მეტ ფინანსურ რესურსს გასცემს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართულებით, ვიდრე მეცნიერებისა და განათლების დაფინანსებაზე. რუსეთი დიდი ხანია ემზადება ამ პროცესებისთვის,“ - აღნიშნა გრიგოლ ჯულუხიძემ.

„ფართომასშტაბიანი ომის განხორციელება თავიდანვე უტოპიური იდეა იყო, თუმცა არსებობდა მოლოდინი, რომ შოკის ფონზე მოხდებოდა უკრაინაში „იოლი გასეირნება“. მათი სცენარის მიხედვით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში მათ მოსახლეობა წინააღმდეგობის გაწევის გარეშე უნდა შეხვედროდა. ამ აზრს ამყარებს სწორედ ის სურათი, რომელსაც ხატავდა რუსული საინფორმაციო ნარატივი. ისინი არ მალავდნენ მძიმე სამხედრო ტექნიკის მასშტაბურ გადაადგილებას და ყველა საინფორმაციო საშუალებას ჰქონდა ამ პროცესის გადაღების, დაფიქსირების შესაძლებლობა. რეალურად გამოჩნდა, რომ ეს „დენაციფიკაციის“ პროცესი უკრაინული მხარის სერიოზული წინააღმდეგობის ფონზე, რუსული მოლოდინის საწინააღმდეგოდ წარიმართა,“ - განაცხადა „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორმა, გიორგი ანთაძემ.

იხილეთ ონლაინ დისკუსია:

<https://www.facebook.com/events/877149770350593?ref=newsfeed>

შავი ზღვის სტრატეგიული
გარემოს სტაბილიზაციის გზები
და გამოწვევები

თარიღი: 16.03.2022

ლონისძიება მიზნად ისახავდა
რუსეთის მიერ უკრაინაში



სამხედრო შეჭრის შედეგად შავი ზღვის რეგიონში მომავალი გამოწვევების და რეგიონული უსაფრთხოების ახალი წყობის, ასევე საქართველოსა და რუმინეთს შორის შესაძლო ეკონომიკური და ენერგეტიკის მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლას.

ლონისძიებას, რომელიც რუმინეთის ლუკიან ბლაგას უნივერსიტეტის გლობალური კვლევების ცენტრთან და რუმინეთის პოლიტიკური და ადმინისტრაციული კვლევების ეროვნულ სკოლასთან თანამშრომლობით გაიმართა მოდერაციას უწევდა „ჯეოქეისის“ მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ნიკოლოზ ხატიაშვილი.

მოწვეული მომხსენებლები კი გახლდნენ „ჯეოქეისის" თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი; საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ სამხარაძე; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ლაშა დარსალია; იულიან ფოტა, რუმინეთის სახელმწიფო მდივანი; ანტონია კოლიბაშანუ, Geopolitical Futures-ის უფროსი ანალიტიკოსი, პოლიტიკისა და ადმინისტრაციული კვლევების ეროვნული სკოლის ლექტორი (რუმინეთი); ლეონელა ლეკა, უფროსი ანალიტიკოსი, გლობალური კვლევების ცენტრი, სიბიუს ლუკიან ბლაგას უნივერსიტეტი, (რუმინეთი); პროფ. სილვიუ ნატე, სიბიუს ლუკიან ბლაგას უნივერსიტეტის გლობალური კვლევების ცენტრის დირექტორი (რუმინეთი).

დისკუსიის მონაწილეებმა რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების გამო შავი ზღვის რეგიონის წინაშე

უსაფრთხოების თვალსაზრისით გაჩენილი ახალი საფრთხეებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ერის დასაწყისის შესახებ იმსჯელეს.

დისკუსიისას, „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოების ახალი მექანიზმების შექმნაზე, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურას, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როგორც ევროპული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

„საქართველოს პერსპექტივიდან, გვსურს აღვნიშნოთ, და ვფიქრობ უკრაინელებიც დაგვეთანხმებიან, რომ როდესაც ევროპის ან ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალ მოდელზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი მოდელი ვერ იქნება წარმატებული საქართველოსა და უკრაინის გარეშე. თუ ცხოვრებას იმავე გეოპოლიტიკურ ვაკუუმში გავაგრძელებთ, ევროპელი ლიდერებიც დარჩებიან ჩვეული კომფორტის ზონაში და ამასთანავე, უსაფრთხოებას მიიღებენ, როგორც მარტივად ბოძებულს (თუმცა, ამ ყველაფერს მარტივად ბოძებულს უკვე ვეღარ ვუწოდებთ), ვფიქრობ, ევროპის ახალ წესრიგზე საუბარი უბრალოდ თავის მოტყუება იქნება, და როგორც ბატონმა სილვიუ ნატემ აღნიშნა, ეს მხოლოდ დროებით მოგვგრის შვებას შემდგომი სრულმასშტაბიანი აგრესიის ფაქტამდე.“- აღნიშნა მან.

დასასრულს დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს მსგავსი განხილვებისა და დიალოგის მნიშვნელობას საქართველოსა და რუმინეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობის, ასევე საერთო მიზნების, ამოცანების მიღწევის კუთხით. გამოითქვა მზაობა ანალოგიური ფორმატის ღონისძიებების კვლავ გასამართად.

იხილეთ დისკუსია: https://www.youtube.com/watch?v=Wakm0x3p_gE



რუსეთის ეკონომიკისათვის
დაწესებული სანქციები და
საქართველოს ეკონომიკური
მედეგობა

თარიღი: 15.03.2022

„ჯეოქეისის“ ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ დისკუსიათა სერიის ფარგლებში რიგით მე-2 ონლაინ განხილვა სახელწოდებით „რუსეთის ეკონომიკისათვის დაწესებული სანქციები და საქართველოს ეკონომიკური მედეგობა“ გაიმართა.

ღონისძიებას მოდერატორობა გაუწია „ჯეოქეისის“ მკვლევარმა ეკონომიკის მიმართულებით, CIU ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი აბაშიშვილმა.

„მოწვეულმა მომხსენებლებმა CIU-ის ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის წევრმა, საქართველოს პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში მაია მელიქიძემ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს ყოფილმა წევრმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა, საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაციის მთავარმა ეკონომისტმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, დავით ნაბორაშვილმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ, ეკონომიკის მაგისტრმა, გიგა ჩხარტიშვილმა რუსეთის ეკონომიკისათვის დაწესებული სანქციები, მათი თავიდან არიდების პოტენციური რისკები, საქართველოს მიმდინარე ეკონომიკური სიტუაცია და ეკონომიკური მედეგობა მიმოიხილეს.

დისკუსიისას მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს რუსეთის სანქციების საქართველოს ეკონომიკაზე პოტენციური გავლენის შესახებ, ასევე განიხილეს

საფინანსო-ეკონომიკურ სივრცეში ახალი გამოწვევები, კრიპტოვალუტისა და SWIFT-ის მნიშვნელობა.

იხილეთ ონლაინ დისკუსია:

https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=1299998060493090

რუსეთის დემარში:
პოლიტიკური და სამხედრო
შედეგები

თარიღი: 04.03.2022

„ჯეოქეისმა“ ორგანიზება გაუწია ვებინარს თემაზე "რუსეთის



დემარში: პოლიტიკური და სამხედრო შედეგები".

ვებინარის საპატიო სტუმრები და მომხსენებლები იყვნენ: რიჩ ბრეიდი, CDFM, CGFM, CMA, ამერიკის სამხედრო კონტროლიორების საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, „ჯეოქეისის“ მრჩეველთა საბჭოს წევრი; დაკოტა ვუდი, თავდაცვის პროგრამების უფროსი მკვლევარი, ეროვნული თავდაცვის ცენტრი, დევისის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტი, Heritage Foundation; ვახტანგ კაპანაძე, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-მაიორი (გადამდგარი), „ჯეოქეისის“ მრჩეველი. დისკუსიას მოდერატორობას „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი უწევდა.

ღონისძიების მიზანს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა და რუსეთსა და ნატო/აშშ-ს შორის არსებული დაძაბულობის განხილვა წარმოადგენდა. სპიკერებმა NATO-ს აღმოსავლეთი ფლანგის შესახებ ისაუბრეს და მსმენელებს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა გეოპოლიტიკაზე.

სიტყვით გამოსვლისას, რიჩ ბრეიდიმ ხაზი გაუსვა იმას, თუ როგორ შეიცვალა წლების განმავლობაში ომმა ფორმა, ხასიათი და ამასთან ერთად, როგორ შეიცვალა ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკა და სამხედრო აგრესიის შემაკავებელი ფაქტორები. მისი თქმით, შეერთებული შტატებისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე თანამშრომლობის გაზრდის დიდი შესაძლებლობაა, მათი ისტორიისა და საომარი ეთიკის გათვალისწინებით, თუმცა, ეს ყველაფერი მხარეთა სტრატეგიულ სურვილზეა დამოკიდებული.


დაკოტა ვუდმა აღნიშნა, რომ რუსეთის უკრაინაზე თავდასხმამ ბევრი მთავრობა აიძულა გადაეფასებინა რისკები და მოლოდინები, რომლებიც რეალურ ომს თან ახლავს. ალიანსებზე საუბრისას კი აღნიშნა: „ქვეყნებმა, რომელთაც რთული სამეზობლო აქვთ, პირველ რიგში, საკუთარი შესაძლებლობების გაზრდაზე უნდა იზრუნონ და შემდეგ გახდნენ იმ გაერთიანებების კონტრიბუტორები, რომელთა წევრობაც სურთ. იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თვალსაზრისით სტაბილური და სხვებისაგან დამოუკიდებლად რაც შეიძლება ძლიერი, თავად საქართველოს საუკეთესო ინტერესშია.“

ვახტანგ კაპანაძემ რუსეთის სამხედრო სტრატეგია მიმოიხილა და ხაზი გაუსვა დასავლეთისა და NATO-ს მხრიდან უკრაინის ტექნიკური მხარდაჭერის გაზრდის მნიშვნელობას. „აშკარაა, რომ დღევანდელი უკრაინის შეიარაღებული ძალები ბევრად ძლიერია 2014 წელთან შედარებით. სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან უკრაინის სამხედრო ძალებისადმი უპრეცედენტო მხარდაჭერა კი მოწინააღმდეგისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფაქტორია“, - განაცხადა მან.

ვიქტორ ყიფიანმა, ვებინარის შეჯამებისას, ყურადღება გაამახვილა შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებაზე და აღნიშნა: „რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი ლაკმუსის ქაღალდია მრავალი მიზეზის გამო. როგორც ჩანს, მსოფლიო უფრო მეტად ე.წ. hub-and-spoke უსაფრთხოების მოდელებზე გადადის. ამ თვალსაზრისით, შავი ზღვა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ერთად, ძალზე ძლიერი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს თავდაცვის,

უსაფრთხოებისა და რეგიონში აშშ-ის პოტენციალისა და ინტერესების გაძლიერების თვალსაზრისით.“

იხილეთ ვებინარი: <https://www.youtube.com/watch?v=WTwpJ7q5V1E>



ვარშავის უსაფრთხოების
ფორუმის დემოკრატიის ქსელის
მიერ ორგანიზებული ვებინარი
თარიღი: 04.03.2022

"ჯეოქეისის"

მკვლევარმა, ნიკოლოზ ხატიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ვარშავის უსაფრთხოების ფორუმის დემოკრატიის ქსელის მიერ ორგანიზებულ ვებინარში, რომელიც დაეთმო უკრაინაში მიმდინარე ომს და არსებულ პროცესებს. ვებინარში მონაწილეობდნენ დემოკრატიის ქსელის წევრები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უკრაინიდან, რომლებმაც ქსელის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია უკრაინაში მიმდინარე პროცესების, რუსეთის აგრესიული ნაბიჯების და საერთაშორისო დახმარების შესახებ. ასევე, მონაწილეებმა იმსჯელეს არსებული პრობლემების გადაჭრის გზებსა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, დეესკალაციისკენ გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ. შეხვედრის ბოლოს უკრაინულმა მხარემ მაღლობა გადაუხადა დემოკრატიული ქსელის წევრებს მხარდაჭერისთვის.

“ვარშავის უსაფრთხოების ფორუმის დემოკრატიის ქსელის ფარგლებში, გვექონდა საინტერესო და საგნობრივი დისკუსია უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით. განვიხილეთ არსებული უმძიმესი ვითარება, შესაძლო რისკები, და ვიმსჯელეთ იმ ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა გადადგას საერთაშორისო თანამეგობრობამ არსებული სიტუაციის დეესკალაციისა და რუსეთის შეკავებისთვის“ - განაცხადა ნიკოლოზ ხატიაშვილმა.

ჯეოქეისის დისკუსიები სავაჭრო პოლიტიკის შესახებ

თარიღი: 25.02.2022

„ჯეოქეისის“ ორგანიზებით
დისკუსიათა სერიის ფარგლებში



ონლაინ ღონისძიება „ჯეოქეისის დისკუსიები სავაჭრო პოლიტიკის შესახებ“ გაიმართა, რომლის მიზანს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ტენდენციებსა და გამოწვევებზე მსჯელობა წარმოადგენდა.

სერიის პირველი ონლაინ ღონისძიება დაეთმო თემას – „საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და კონკურენცია“. ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა. მოდერატორობა კი ანალიტიკური ორგანიზაციის არარეზიდენტმა მკვლევარმა ეკონომიკის მიმართულებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი აბაშიშვილმა გაუწია.

დისკუსიისას მონაწილეებმა საქართველოს არსებული სავაჭრო პოლიტიკა, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის დივერსიფიკაციის გამოწვევები და ტენდენციები მიმოიხილეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, გენადი არველაძემ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმდინარე ტენდენციებსა და გამოწვევებზე ისაუბრა. მან მიმოიხილა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპის-ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებით მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები და ასევე საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ექსპორტის მაჩვენებლები შეაჯამა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ირაკლი ლექვიანამ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ისტორიასა და განხორციელებულ ცვლილებებზე, კონკურენციის სააგენტოს მიერ

ანტიდემპინგური კანონმდებლობის აღსრულებისა და სააგენტოს საქმიანობის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ ისაუბრა.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა, გოგიტა თოდრაძემ დისკუსიისას ყურადღება ასევე გაამახვილა საგარეო ვაჭრობის უახლეს ტენდენციებზე. მან 2021 წელს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში გაზრდილი ექსპორტისა და არსებული იმპორტის მიმდინარე მონაცემები შეაფასა.

„ჯეოქეისის“ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, დავით აფციაურმა, საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან პრინციპებზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაჩქარდეს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურის, ასევე ამ მიმართულებით საკადრო პოლიტიკის განახლების პროცესი. დავით აფციაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ახალი მოდელის ფორმირების აუცილებლობაზე.

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ლევან ვეფხვაძემ ქვეყანაში ბიზნეს გარემოს წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ, აღნიშნული პროცესის წარმატებისთვის ინვესტორებისა და ინვესტიციების მხარდამჭერი ასევე ადგილობრივი წარმოების ხელშემწყობი მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების და პროექტების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

იხილეთ ონლაინ დისკუსია:

https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=289708283100933



30 წელი საქართველოს
დამოუკიდებლობის
აღდგენიდან: მიღწევები,
გამოწვევები და
შესაძლებლობები

თარიღი: 23.02.2022

მაღმოს უნივერსიტეტთან (შვედეთი) არსებული რუსეთისა და კავკასიის რეგიონული კვლევის ცენტრის RUCARR მიწვევით, „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა გამართა ონლაინ სემინარი თემაზე: „30 წელი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან: მიღწევები, გამოწვევები და შესაძლებლობები“.

სემინარის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მიმოხილვა. ასევე, ქვეყნის წინაშე არსებულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ გამოწვევებსა თუ შესაძლებლობებზე მსჯელობა.

ღონისძიებას შვედეთისა და საქართველოს აკადემიური სექტორის წევრები, დიპლომატიური წრის წარმომადგენლები და თემით დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ვიქტორ ყიფიანის მოხსენება შეეხებოდა როგორც საქართველოს საერთაშორისო და რეგიონული პოზიციონირების, ასევე საშინაო პოლიტიკის საკითხებს, მათ შორის საქართველოს პოლიტიკური სისტემის მედეგობასა და ეკონომიკის მდგრადობას.

საქართველოს საერთაშორისო პოზიციონირებაზე საუბრისას, ვიქტორ ყიფიანმა ქვეყნის ევროატლანტიკურ მისწრაფებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ევროპასა და ევროატლანტიკურ საზოგადოებასთან დაახლოებაა, თუმცა ეს გზა მეტად საპასუხისმგებლოა, პროცესი კი - ორმხრივი. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი რეაქცია ექნება ევროპასა და ევროატლანტიკურ საზოგადოებას ქართულ საკითხებზე, როგორ შეაფასებენ ისინი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

„საქართველოს რეფორმები და მიზნები, მისი წარმატების ისტორია მრავლისმომცველია და ბევრი რამ ჩვენზეა დამოკიდებული. საქართველოს წინსვლას ისიც განაპირობებს, თუ რამდენად მიმღებია ევროპული საზოგადოება, რამდენად კარგად იცნობენ რეგიონს და იმ პატარა ერს, რომელიც ასე ბევრი გამოწვევისა და შესაძლებლობის წინაშე დგას“, - აღნიშნა ვიქტორ ყიფიანმა.

მისი თქმით, ამ გზაზე ყველაზე დიდი დაბრკოლება ოკუპაციაა. ასევე, შეცდომაა, როდესაც დასავლელი ექსპერტები და მეცნიერები თავიანთ სტატიებსა და

კვლევებში საქართველოში არსებულ კონფლიქტებს (აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები) ხშირად მოიხსენიებენ ეთნიკურ კონფლიქტებად. სინამდვილეში ეს კონფლიქტები თავისი მახასიათებლებით გეოპოლიტიკური კონფლიქტებია, რადგანაც ისინი საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნების საპასუხოდ გაჩნდა”.

ვიქტორ ყიფიანმა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესახებაც ისაუბრა და კონსტიტუციური მნიშვნელობის შეთანხმებებად შეაფასა.

საქართველოს პოლიტიკური სისტემის შეფასებისას, მან დაასახელა მთელი რიგი გამოწვევებისა, რომლებიც, მისი თქმით, როგორც საქართველოსთვის, ისე სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. პოლიტიკური კულტურისა და სტანდარტების არასაკმარისი დონე, არაინკლუზიურობა, ე.წ. ნულოვანი ჯამის თამაში გავლენას ახდენს ქართული პოლიტიკური ცხოვრების ხარისხზე.

„ქართველ ამომრჩეველს ახალი პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების ხილვა სურს. როდესაც მე ვამბობ "ახალს", ეს არა მხოლოდ სახეებს, არამედ ხარისხს, სტანდარტებსა და კრიტერიუმებსაც ეხება. ჩვენ, „ჯეოქეისი“, ბოლო წლების განმავლობაში მხარს ვუჭერთ ქართული პოლიტიკური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ჩვენს შეფასებებში ვერასდროს შეხვდებით კონკრეტული პიროვნებების სახელებს, რადგან ჩვენ სტანდარტები, კრიტერიუმები და მიდგომები გვაინტერესებს. პერსონიფიცირებული პოლიტიკა ის მოჯადოებული წრეა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაირღვეს“.

ასევე, „ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ ქვეყნის მთავარ გამოწვევებს შორის პასუხისმგებლიანი ოპოზიციური სპექტრის ნაკლებობა, რადიკალიზებული მედია და პოლიტიზებული არასამთავრობო ორგანიზაციები დაასახელა.

მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს სასამართლო სისტემა და მის რამდენიმე დადებით და უარყოფით ასპექტს გაუსვა ხაზი. აღნიშნა, რომ ბოლო დროს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნის პროცესი მეტად პოლიტიზებული

იყო. მისი აზრით, თუკი დანიშვნის პროცესი დამსახურებაზე დაფუძნებული არ იქნება, ქვეყანას სანდო სასამართლო სისტემა ვერ ექნება.

„ევროპასთან დაახლოება უზენაესი ამოცანებისა და საიმედო საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ქონას ნიშნავს. საქართველომ, როგორც რეგიონის რბილმა ძალამ ყველა ეფექტიანი ინსტრუმენტის გამოყენებით, რეგიონის ლიდერობა უნდა შეძლოს. სწორედ მდგრადი პოლიტიკური სისტემა უნდა იქცეს ჩვენს გეოპოლიტიკურ, თუ გნებავთ, გეოეკონომიკურ სავიზიტო ბარათად. ეს კი არა მხოლოდ საქართველოსთვის, რეგიონისთვისაც სასარგებლო იქნება“, - აღნიშნა ვიქტორ ყიფიანმა.

იხილეთ სემინარის საჯარო ნაწილი: <https://www.youtube.com/watch?v=pJjUVo3cnIc>

რუსეთ-უკრაინის

დაპირისპირება: რა ხდება

უკრაინაში და მის ირგვლივ

თარიღი: 10.02.2022

„ჯეოქეისის“ ორგანიზებით
ონლაინ დისკუსია „რუსეთ-



უკრაინის დაპირისპირება: რა ხდება უკრაინაში და მის ირგვლივ“ გაიმართა.

ონლაინ განხილვას მოდერატორობა „ჯეოქეისის“ თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორმა, გიორგი ანთაძემ გაუწია. სამხედრო ანალიტიკოსმა, ისტორიკოსმა გიგა ინაშვილმა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის რეპორტიორმა, სამხედრო-ანალიტიკური გადაცემის ავტორმა და რეჟისორმა გიორგი წეროძემ უკრაინაში და მის ირგვლივ არსებული სიტუაციის სამხედრო პოლიტიკური ასპექტები განიხილეს.

გიორგი ანთაძემ დისკუსიისას მოვლენების განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი მიმოიხილა. მან აღნიშნა, რომ უკრაინის მაგალითზე კარგად გამოჩნდა რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო აქტიურობა.

იხილეთ ონლაინ დისკუსია: <https://geocase.ge/ka/news/663/jeoqesis-organizebit-onlain-diskusia-ruset-ukrainis-dapirispirebis-shesakheb-gaimarta>



რეგიონული სტაბილურობისა და თანამშრომლობის გზების ძიება სამხრეთ კავკასიაში 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ: შეფასებები საქართველოსა და თურქეთის პერსპექტივიდან

თარიღი: 05.02.2022

„ჯეოქეისმა“, ევრაზიის კვლევების ცენტრთან - AVİM (თურქეთი) თანამშრომლობით, გამართა ვებინარი სახელწოდებით "რეგიონული სტაბილურობისა და თანამშრომლობის გზების ძიება სამხრეთ კავკასიაში 2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ: შეფასებები საქართველოსა და თურქეთის პერსპექტივიდან".

დისკუსიის მიზანი იყო იმ ახალი გეოპოლიტიკური კონტექსტის განხილვა, რომელიც 2020 წლის ყარაბაღის ომის შედეგად გაჩნდა და რეგიონული აქტორებისათვის ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები წარმოაჩინა.

ვებინარის მომხსენებლებს შორის იყვნენ თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ფატმა ჯერენ იაზგანი; ევრაზიული კვლევების ცენტრის (AVİM) დირექტორი, ელჩი ალევ კილიჯი; „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი; „ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი, ემილ ავდალიანი; საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პროგრამების მენეჯერი, ელდა კარადაგი; ევრაზიული კვლევების ცენტრის (AVİM) ანალიტიკოსი, ტუტკუ დილავერი.

ღონისძიებას მოდერატორობას უწევდა ევრაზიული კვლევების ცენტრის უფროსი ანალიტიკოსი, თურგუთ ქერემ თუნჯელი.

მომხსენებლებმა სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელეს და სტაბილურობის, მშვიდობისა და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

„დისკუსია მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე პრინციპული ასპექტის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი და AVIM-დან ჩვენი კოლეგების მაგალითზე მოხდა ორი ქვეყნის საზოგადოებებს შორის კავშირის მნიშვნელობის დემონსტრირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ექსპერტულ წრეებს ეხება. ასევე, ღონისძიებამ ორივე მხარეს შესაძლებლობა მოგვცა დაგვეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრებები რეგიონთან დაკავშირებით. დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვებინარმა კვლავ წარმოაჩინა საქართველოსა და თურქეთის შორის პარტნიორობა. დიდი მადლობა დისკუსიის საშუალებით აზრთა გაცვლის ამ შესაძლებლობისათვის,“ - აღნიშნა ვიქტორ ყიფიანმა.

ვებინარი დახურულ ფორმატში ჩატარდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ წინასწარ დარეგისტრირებული აუდიტორიისათვის.

ნახეთ ვებინარი: <https://www.youtube.com/watch?v=FsZ-Gzm-rMc>

აპარტიდის დემოკრატიით
შეცვლის სამხრეთ
აფრიკული გამოცდილება:
მიღწევები, მიმდინარე
გამოწვევები და
გაკვეთილები გლობალური
საზოგადოებისთვის



თარიღი: 20.01.2022

„ჯეოქეისის“ ორგანიზებით ვებინარი თემაზე "აპარტიდის დემოკრატიით შეცვლის სამხრეთ აფრიკული გამოცდილება: მიღწევები, მიმდინარე გამოწვევები და გაკვეთილები გლობალური საზოგადოებისთვის" გაიმართა. ვებინარს საპატიო

სტუმარი, როლგ მაიერი გაუძღვა. იგი ორგანიზაციის In Transformation Initiative (ITI) დამფუძნებელი დირექტორია, გახლდათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი მინისტრი, პოლიტიკოსი და მთავარი პირი იმ ისტორიული მოლაპარაკებების პროცესისა, რომელმაც დაასრულა აპარტეიდი.

ვებინარს მოდერატორობას „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე, ვიქტორ ყიფიანი უწევდა. მან სტუმარი საზოგადოებას წარუდგინა და აღნიშნა, რომ ქართველი აუდიტორიისა და ექსპერტთა წრისათვის ეს იყო პირველი ღონისძიება, რომელიც საშუალებას მისცემდა აუდიტორიას სამხრეთ აფრიკა დაენახა არა მხოლოდ აპარტეიდის დასრულების ჭრილში, არამედ გაეგო ქვეყნის შიდა პოლიტიკისა და საგარეო ურთერთობების შესახებაც.

როლგ მეიერმა მოკლედ მიმოიხილა სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეჟიმი და მსმენელებს საკუთარი ისტორიის შესახებაც უამბო, თუ როგორ ფუნდამენტურად შეიცვალა აპარტეიდის მხარდამჭერ ძალზე კონსერვატიულ ოჯახში აღზრდილმა ადამიანმა მსოფლმხედველობა და მოგვიანებით პოლიტიკით მხოლოდ იმ მიზნით დაკავდა, რომ ქვეყანაში ცვლილებები განეხორციელებინა აპარტეიდის დასასრულებლად. ცვლილებებზე მუშაობა კი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა პარლამენტში მაშინდელი მმართველი პარტიის - ნაციონალური პარტიის წევრად აირჩიეს. „ზოგი ამბობს, რომ ცვლილებების მოხდენა შეუძლებელია, მე კი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ ეს შესაძლებელია, თუ საქმისათვის თავს გადადებ და მას დიდი შინაგანი რწმენით მიუდგები“, - აღნიშნა მან.

სიტყვით გამოსვლისას, როლგ მეიერმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას, 1989-1994 წლებში სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტის, ფრედერიკ ვილემ დე კლერკისა და არქივისკოპოსის, დესმონდ ტუტუს ისტორიულ დამსახურებას აპარტეიდის დასრულების შემდგომ სამხრეთ აფრიკის ხალხებს შორის შერიგებისა და მშვიდობის მიღწევის კუთხით.

„თუ მსგავს ვითარებაში ლიდერობა გსურთ, მტკიცე შინაგანი რწმენა უნდა გაგაჩნდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ოპორტუნიზმით ვერ შესძლებთ

დაარწმუნოთ სხვები და გაუძღვეთ მათ. ბევრი პოლიტიკოსი მინახავს, რომელთაც, შესაძლოა, კარგი განზრახვები ჰქონდათ, მაგრამ ოპორტუნისტული მიდგომებით და შინაგანი რწმენის არქონის გამო ვერაფერს გახდნენ“, - განაცხადა როლფ მეიერმა.

მან რეჟიმის ცვლილების შემდეგ პოლიტიკური ძალადობის აღმოფხვრაზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრობლემის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირების, ბიზნეს საზოგადოებისა და სხვა წრეების საკუთარი ინიციატივით გაერთიანებამ შესაძლებელი გახადა კონსესუსის მიღწევა და ხელი მოეწერა ეროვნულ სამშვიდობო შეთანხმებასაც, რომლის მეშვეობითაც შეწყდა პოლიტიკური ძალადობა და მოხერხდა კონსტიტუციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება. დღესდღეობით კი საზოგადოების ბაზისურ დონეზე წარმატებით წარმოებული დიალოგის კონცეფციას სამხრეთ აფრიკა იმ ქვეყნებსაც უზიარებს, რომელთაც მსგავსი შიდა კონფლიქტები გააჩნიათ.

როლფ მეიერის თვალსაზრისით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საზოგადოების გახლეჩილ მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა, ესენია: მოლაპარაკებების პროცესის ინკლუზიურობა, მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბება, ინიციატივებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. შედეგად აპარტეიდის რეჟიმიდან დემოკრატიულ ფორმაციაზე მშვიდობიანი გადასვლა მოხერხდა. მისივე თქმით, ასევე მნიშვნელოვანი იყო პროცესის გამჭვირვალობა და მასში მედიის გადამწყვეტი როლი - კონსტრუქციული მიდგომა და პროგრესისადმი ინტერესი.

თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, როლფ მეიერის აზრით, ისეთივე წარმატებით ვერ განხორციელდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია და, შესაბამისად, სამხრეთ აფრიკის ეკონომიკური მოდელი რეფორმირებას საჭიროებს. ღონისძიების მოდერატორმა, ვიქტორ ყიფიანმა დასკვნით ნაწილში მაღლობა გადაუხადა სტუმარს უაღრესად საინტერესო და ინფორმატიული ვებინარისთვის და აღნიშნა, რომ ქართველ აუდიტორიას შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა უფრო

დეტალურად გაცნობოდა სამხრეთ აფრიკის მშვიდობის, შერიგებისა და კომპრომისის მიღწევის გამოცდილებას. ასევე, მიეღო ძალზე პრაქტიკული რჩევები ესოდენ მაღალი ავტორიტეტისა და კომპეტენციის მქონე პირისაგან.

„ჯეოქეისის“ წარმომადგენლების მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობაში



ნიკოლოზ ხატიაშვილი ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრად მესამე ვადით აირჩიეს

თარიღი: 28.12.2022

„ჯეოქეისის“ მკვლევარი და საერთაშორისო მდივანი - ნიკოლოზ ხატიაშვილი ამერიკის მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციის (EPAG) მმართველი საბჭოს წევრად მესამე ვადით აირჩიეს.

„ჯეოქეისის“ მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში 2022 წლის 12 დეკემბერს „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მკვლევარი და საერთაშორისო მდივანი ნიკოლოზ ხატიაშვილი ბერლინის უსაფრთხოების კონფერენციაში მონაწილეობდა.



იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/884/nikoloz-khatiashvili-berlinis-usaftrkheobis-konferenciashi-monatsileobda>

2022 წლის 31 ოქტომბერს მან მონაწილეობა მიიღო ე. ბრიუსელში გამართულ EU DisinfoLAB-ის მიერ ორგანიზებულ ევროკავშირის დეზინფორმაციის საერთაშორისო კონფერენციაში და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)-ის და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაში,

რომელიც მიეძღვნა რუსული დეზინფორმაციის გავლენას უკრაინაში მიმდინარე ომსა და კრიზისზე.

იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/852/nikoloz-khatiashvilma-monatsileoba-miigho-q-briuselshi-gamartul-saertashoriso-konferenciebshi>

5-6 ოქტომბერს ნიკოლოზ ხატიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ვარშავის უსაფრთხოების ფორუმში. იგი, როგორც ვარშავის უსაფრთხოების დემოკრატიული ქსელის წევრი, ჩართული იყო „ვორქშოპში“, რომელიც მიეძღვნა უკრაინაში მიმდინარე ომს, რის შედეგადაც შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

გარდა ამისა, ოქტომბრის თვეში, ნიკოლოზ ხატიაშვილმა მონაწილეობა მიიღო რიგის კონფერენციაში და რიგის კონფერენციის მომავალ ლიდერთა ფორუმში, სადაც დისკუსია დაეთმო უკრაინაში მიმდინარე ომს, რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს, თანამედროვე გამოწვევებს, შავი ზღვის უსაფრთხოებას, ჰიბრიდულ საფრთხეებსა და ევროპის უსაფრთხოების მომავალ არქიტექტურას.

იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/920/nikoloz-khatiashvilma-rigis-konferenciasa-da-rigis-konferenciis-momaval-liderta-forumshi-miigho-monatsileoba>

2022 წლის 9 სექტემბერს “ჯეოქეისის” მკვლევარმა, ნიკოლოზ ხატიაშვილმა ქ. ლონდონში შეხვედრები გამართა ევროპული რეფორმების ცენტრის (Center for European Reform) საგარეო პოლიტიკური მიმართულების ხელმძღვანელთან, იენ ბონდთან და დიდი ბრიტანეთის გეოსტრატეგიული საბჭოს (Council on Geostrategy) დამფუძნებლებთან - ჯეიმს როჯერსთან და ვიქტორია სტარიჩთან.

იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/813/nikoloz-khatiashvili-didi-britanetis-tsamyvani-analitikuri-organizaciebis-tsarmomadgenlebs-shekhvda>

2022 წლის 28 ივნისს „ჯეოქეისის“ მკვლევარმა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ნიკოლოზ ხატიაშვილმა ბუქარესტში მიმდინარე ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების ევროპული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შავი ზღვის უსაფრთხოების ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/774/nikoloz-khatiashvili-buqarestshi-mimdinare-jorj-marshalis-usaftrkhoebis-evropuli-centris-mier-organizebul-shavi-zghvis-usaftrkhoebis-forumshi-ighebs-monatsileobas>

2022 წლის 4 ივნისს, “ჯეოქეისის” მკვლევარმა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და საერთაშორისო მდივანმა, ნიკოლოზ ხატიაშვილმა მონაწილეობა მიიღო GLOBSEC-ის ბრატისლავას გლობალური უსაფრთხოების ფორუმში და ასევე, მრგვალი მაგიდის ფორმატის რამდენიმე დისკუსიაში.

იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/754/nikoloz-khatiashvili-globsec-is-bratislavas-globaluri-usaftrkhoebis-forums-afasebs>



გენერალ – მაიორმა (გადამდგარი) ვახტანგ კაპანაძემ ევროპა-ამერიკის უსაფრთხოების დიალოგში მონაწილეობა მიიღო

2022 წლის 22-25 სექტემბერს გენერალ – მაიორმა (გადამდგარი) ვახტანგ კაპანაძემ ევროპა-ამერიკის უსაფრთხოების დიალოგში მონაწილეობა მიიღო.

ღონისძიება ორგანიზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი სტრატეგიის ცენტრის“, „ახალი თაობის ომის სწავლების ცენტრისა“ და რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ.



ვიქტორ ყიფიანი პროგრამის -
Innovative Training Network
"MARKETS"- მონაწილეებს
შეხვდა

თარიღი: 02.12.2022

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ,
ვიქტორ ყიფიანმა EU's Horizon
2020 Fund-ის მიერ

დაფინანსებული პროექტის - Innovative Training Network "MARKETS" -
მონაწილეებს უმასპინძლა.

საქართველოში ვიზიტისას, პროექტის მონაწილეებმა, რომლებიც ევროპის წამყვანი
უნივერსიტეტების დოქტორანტები არიან, ქსელის წევრებისათვის შეხვედრები,
„ვორქშოუები“ და სხვადასხვა სახის ლექციები გამართეს.

„ჯეოქეისის“ ოფისში შეხვედრისას, ვიქტორ ყიფიანმა პროექტის მონაწილეებს
საქართველოსა და რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების
სფეროებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

შეხვედრის დასასრულს ვიქტორ ყიფიანმა ინოვაციური სწავლების ქსელის
მონაწილეთა შეკითხვებს უპასუხა.

Innovative Training Network "MARKETS", ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების
მასშტაბით, უცხოურ ინვესტიციებზე ფორმალური და არაფორმალური
ფაქტორების გავლენას სწავლობს, ასევე, მომავალი ანალიტიკოსებისათვის
შეიმუშავებს მდგრად სასწავლო პროგრამებს, რაც მათ რეგიონის
არსებითად პრაქტიკულ გაგებაში ეხმარება.

ხათუნა ბურკაძემ, თბილისის
ამერიკული კუთხის ეგიდით,
ახალგაზრდებისათვის
კიბერუსაფრთხოების
საკითხებზე საჯარო ლექცია
ჩაატარა



თარიღი: 02.12.2022

თბილისის ამერიკული კუთხის ეგიდითა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით პროექტი „ციფრული განათლება კიბერუსაფრთხოებისთვის“ ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ ახალგაზრდებისათვის კიბერუსაფრთხოების საკითხებზე საჯარო ლექცია ჩაატარა.

ხათუნა ბურკაძემ კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცვის აუცილებლობისა და იმ მექანიზმების, საშუალებების შესახებ ისაუბრა, რომლებიც ქვეყნის კიბერუსაფრთხოებას განამტკიცებენ. ამასთანავე, მან განსაკუთრებული ყურადღება კიბერშეტევების საერთაშორისო სამართლებრივ განსაზღვრებაზე გაამახვილა.

„საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდი განვითარების კვალდაკვალ, კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა იზრდება როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის. მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მუდმივმოქმედი პლატფორმის შექმნა, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს გააერთიანებს და ხელს შეუწყობს საზოგადოების მედეგობის გაძლიერებას კიბერ საფრთხეების მიმართ. ასევე, აუცილებელია, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, ერთობლივი კიბერ წვრთნების, ტრენინგების და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელების გაგრძელება,“ - განაცხადა ხათუნა ბურკაძემ.

„ამასთანავე, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კიბერჰიგიენისა და კიბერუსაფრთხოების სასწავლო კურსების, პროგრამების განვითარება საჭიროა. ეს ხელს შეუწყობს ციფრულ სივრცეში მონაცემთა, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ტექნიკური, სამართლებრივი სტანდარტების გამოყენებას და კიბერუსაფრთხოების სფეროში ახალი სპეციალისტების პროფესიული უნარების განმტკიცებას,“ - დასძინა ხათუნა ბურკაძემ.



„ჯეოქეისის“ მკვლევარმა კახი ქენჭაძემ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „ომი და მიგრაცია“ მონაწილეობა მიიღო

თარიღი: 25.11.2022

„ჯეოქეისის“ და ჰარვარდის

უნივერსიტეტის მკვლევარმა კახი ქენჭაძემ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „ომი და მიგრაცია“ მონაწილეობა მიიღო.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა ომის შედეგად იძულებითი მიგრაციის მართვის შესახებ მსჯელობა, ეკონომიკასა და პოლიტიკაზე ომის ზეგავლენასა და აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოების როლის თაობაზე სტუდენტების მოსაზრებებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარება.

მომხსენებლებმა მიმოიხილეს ომით გამოწვეული მიგრაციის მიზეზები და შედეგები, უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები და საერთაშორისო საზოგადოების საპასუხო ნაბიჯები, ასევე უკრაინაში ომის შედეგად საქართველოში იმიგრაციის კუთხით არსებული ვითარება.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის მკვლევარებმა და სტუდენტებმა.

მალმოს უნივერსიტეტის
მიწვევით ელჩმა დავით
აფციაურმა ონლაინ სემინარი
გამართა

თარიღი: 22.11.2022

მალმოს უნივერსიტეტთან
(შვედეთი) არსებული რუსეთისა



და კავკასიის რეგიონული კვლევის ცენტრის (RUCARR) მიწვევით, „ჯეოქეისის“ მრჩეველთა საბჭოს წევრმა, ელჩმა დავით აფციაურმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ ჩინეთის პოლიტიკის შესახებ ვირტუალურ ფორმატში ლექცია გამართა.

დავით აფციაურის ლექცია ეხებოდა ჩინეთსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარების ტენდენციებს, მათ გავლენას რეგიონის ეკონომიკურ ზრდასა და უსაფრთხოების გარემოზე, გახანგრძლივებული პანდემიური კრიზისისა და უკრაინაში მიმდინარე ომის კონტექსტში. ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამშრომლობის განხილვას ჩინეთის „Belt and Road“ ინიციატივის ფარგლებში.

დავით აფციაურმა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკასა და ეკონომიკაში გლობალური და რეგიონული მოთამაშეების როლზეც ისაუბრა. ლექციის მსვლელობისას, დამსწრეებს, ასევე, საშუალება ჰქონდათ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე განახლებული ინფორმაცია მიეღოთ.



ბაქარ ფალავანდიშვილმა
კონკურენციისა და
მომხმარებლის უფლებების
შესახებ საქართველოში
პირველი საერთაშორისო
კონფერენციის სესიას
მოდერაცია გაუწია

თარიღი: 17.11.2022

“ჯეოქეისის” თავმჯდომარის მოადგილემ ბაქარ ფალავანდიშვილმა მოდერაცია გაუწია კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ საქართველოში პირველი საერთაშორისო კონფერენციის სესიას, რომელიც შეეხებოდა კონკურენციის პოლიტიკასა და მდგრად განვითარებას.

სესიის სპიკერები იყვნენ ესპანეთის ეროვნული ბაზრებისა და კონკურენციის სააგენტოს კომისიის წევრი მარია არილაგა, აზერბაიჯანის ანტიმონოპოლიური და მომხმარებელთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მამად აბასბეილი, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს პირველი მოადგილე ლევან კალანდაძე, საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდენტი გიორგი პერტაია და PwC საქართველოს სამართლებრივი მენეჯერი თეონა ჟიჟიაშვილი.

სპიკერებმა ისაუბრეს კონკურენციის სამართლისა და მისი აღსრულების როლზე მდგრად განვითარებაში.

სესიის ფარგლებში ბაქარ ფალავანდიშვილმა განიხილა კონკურენციის მიზნებისა და სამართლის სხვა დარგების ურთიერთმიმართების საკითხი, აღნიშნა რისკები, რომელიც ახლავს მდგრადი განვითარების გათვალისწინებას კონკურენციის აღსრულებაში და ყურადღება გაამახვილა ბრიტანეთსა და აშშ-ში მიმდინარე საქმეებზე კონკურენციისა და მდგრადი განვითარების კონტექსტში.

ვიქტორ ყიფიანი
საქართველოში სომხეთის ელჩს
შეხვდა

თარიღი: 10.11.2022

„ჯეოქეისის“ ხელმძღვანელი ვიქტორ ყიფიანი სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, აშოტ სმბატიანს შეხვდა.



შეხვედრაზე რეგიონში არსებული ვითარება განიხილეს და სომხეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ასევე, იმსჯელეს საქართველოსა და სომხეთის სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ანალიტიკური წრეების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების განვითარების შესახებ.

შეხვედრაზე განიხილეს არაერთი კუთხით თანამშრომლობის პერსპექტივებიც.



ვიქტორ ყიფიანმა ევროკავშირის
ახალ ელჩთან შეხვედრაში
მიიღო მონაწილეობა

თარიღი: 09.11.2022

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ, ვიქტორ ყიფიანმა საქართველოში ევროკავშირის ახალ ელჩთან,

პაველ ჰერჩინსკისთან გამართულ ვიწრო ფორმატის გაცნობითი ხასიათის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრას კიდევ რამდენიმე ქართული ანალიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, ასევე ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები, თუ რამდენად ეფექტიანად სრულდება ევროკომისიის მიერ ქვეყნისათვის გაცემული რეკომენდაციები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით.

მონაწილეებმა, ასევე, ყურადღება გაამახვილეს რეგულარული სამუშაო შეხვედრების ჩატარების მნიშვნელობაზე.



ვიქტორ ყიფიანი ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

თარიღი: 04.11.2022

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე ვიქტორ ყიფიანი ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან

ელჩს საქართველოში, ჰადას ესტერ მეიცადს შეხვდა.

მხარეებმა ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრულ ურთიერთობებზე და მათ უფრო გაღრმავებასა და გაძლიერებაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე განსაკუთრებულად აღინიშნა ორი ქვეყნის კულტურისა და აკადემიურ წრეებს შორის კავშირების გაღრმავების მნიშვნელობა, აგრეთვე ისრაელისა და საქართველოს ანალიტიკურ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობა ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით.

შეხვედრის დროს ელჩმა ჰადას ესტერ მეიცადმა და ვიქტორ ყიფიანმა მიმდინარე ადგილობრივი და რეგიონში განვითარებული მოვლენები განიხილეს და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივებზეც იმსჯელეს.

გიორგი აბაშიშვილი და ნიკოლოზ ხატიაშვილი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პროექტში „აშენე საქართველო“ ჩაერთნენ
თარიღი: 22.10.2022



22 ოქტომბერს რესპუბლიკური ინსტიტუტის პროექტის - „აშენე საქართველო“ გახსნითი ღონისძიება გაიმართა.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ცნობით, საერთაშორისო

რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ახალი 2-წლიანი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში წარმატებული ლიდერების და ახალგაზრდების ჩართულობას მიმდინარე პროცესში, რათა ერთობლივად შეიმუშაონ ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

გიორგი აბაშიშვილი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პროექტის "აშენე საქართველო" მრჩეველთა საბჭოს წევრად დასახელდა. გარდა ამისა, ღონისძიებაში ჩართული იყო "ჯეოქეისის" მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით და საერთაშორისო მდივანი - ნიკოლოზ ხატიაშვილი.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიის და კომპრომისის გზით პროცესი მოამზადებს ნიადაგს, რომელიც ორიენტირებული იქნება კონსენსუსის მიღწევაზე არაფორმალურ გარემოში.

პროექტში ჩართულია 60 მონაწილე შემდეგი სამიზნე ჯგუფებიდან:

ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება, აკადემიური წრეები, ახალგაზრდები და რელიგიური ორგანიზაციები.





ვიქტორ ყიფიანი თურქეთის
ელჩს, ბატონ ალი ქაან ორბაის
შეხვდა

თარიღი: 12.09.2022

„ჯეოქეისი“ თავმჯდომარემ,
ვიქტორ ყიფიანმა თურქეთის
ახალ ელჩს საქართველოში, ალი
ქაან ორბაის ორგანიზაციის

ოფისში უმასპინძლა. ეს გახლდათ პირველი გაცნობითი ხასიათის შეხვედრა,
რომელიც ბატონმა ორბაიმ ელჩის რანგში ქართულ ანალიტიკურ ცენტრთან
გამართა.

„ჯეოქეისის“ თავმჯდომარემ სტუმარს ორგანიზაციის საქმიანობისა და
განხორციელებული პროექტების შესახებ უამბო. მათ რეგიონსა და მსოფლიოში
მიმდინარე აქტუალური მოვლენები განიხილეს და საქართველო-თურქეთის
სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით კავშირების
გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

შეხვედრისას, მხარეებმა სხვადასხვა მიმართულებით სამომავლო მჭიდრო
თანამშრომლობისათვის მზაობა გამოთქვეს.



ხათუნა ბურკაძემ
საერთაშორისო კონფერენციაზე
რუსეთის მიერ ძალის
გამოუყენებლობის პრინციპის
ხელყოფის ფაქტებზე ისაუბრა

თარიღი: 02.08.2022

„ჯეოქეისის“ ამერიკისმცოდნეობისა
და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

ხათუნა ბურკაძე საერთაშორისო კონფერენციაზე - "საერთაშორისო სამართალი ომის პირისპირ" მოხსენებით გამოვიდა. მისი მოხსენების თემა გახლდათ რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის ფუნდამენტური პრინციპის ხელყოფა საქართველოსა და უკრაინის მაგალითებზე.

საერთაშორისო კონფერენცია ევროპის უნივერსიტეტის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზებითა და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა. კონფერენცია რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომსა და მის საერთაშორისო სამართლებრივ შეფასებას მიეძღვნა.

ხათუნა ბურკაძემ განაცხადა: „ძალის გამოყენების თემა საერთაშორისო სამართალში განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც რუსეთმა საქართველოსთან მიმართებით დაარღვია საერთაშორისო სამართლის ყველა ფუნდამენტური პრინციპი და სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა. რუსეთის აგრესიული მოქმედებების არეალი შემდეგ წლებშიც გაფართოვდა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფით 2014 წელს კრემლმა ყირიმი უკანონოდ მიიერთა. 2022 წლის 24 თებერვალს კი რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განხორციელება დაიწყო. გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა ქვეყანამ - რუსეთის ფედერაციამ კვლავ ხელყო გაერო-ს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოებისგან ძალის გამოუყენებლობის პრინციპის დაცვას საერთაშორისო ურთიერთობებში. გაერო-ს წესდების ავტორები მიზნად ისახავდნენ, თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის შექმნით, თაობები გადაერჩინათ ომისგან, რომელმაც მე-20 საუკუნეში ორჯერ წარმოუდგენელი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. სამწუხაროდ, კრემლის აგრესიული პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეების ფონზე, დღეს მსოფლიო მსგავსი გამოწვევის წინაშეა, რომელთანაც გამკლავება უპრეცედენტო ძალისხმევასა და ერთობას მოითხოვს“.

მისი თქმით, საერთაშორისო სამართლებრივი სისტემა არ აღმოჩნდა ეფექტიანი სახელმწიფოებს შორის ძალის გამოყენების თავიდან აცილების თვალსაზრისით,

რადგან ამ სისტემას არ აქვს ქმედითი იძულებითი მექანიზმები საერთაშორისო ნორმების დასაცავად და შესასრულებლად.

„ამ ურთულეს გარემოში თავისუფლებისათვის მებრძოლი უკრაინა ახალ ისტორიას ქმნის, რომელიც უნდა გახდეს საფუძველი ისეთი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების, სადაც საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე მაღლა არ დადგება კონკრეტული ლიდერის პოლიტიკური ინტერესი და ერთ სახელმწიფოს არ გაუჩნდება სურვილი ხელყოს მეორე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. აუცილებელია ახალი შესაძლებლობების მიცემა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც რუსეთის აგრესიული ქმედებების სამიზნეებს წარმოადგენენ“, - დასძინა ხათუნა ბურკაძემ.



Inaugural Annual Georgia - Oxford Forum

10 June 2022



ვიქტორ ყიფიანი ოქსფორდის ფორუმზე მომხსენებლად მიიწვიეს

თარიღი: 12.06.2022

„ჯეოქეისის“ ხელმძღვანელი, ვიქტორ ყიფიანი საქართველო-ოქსფორდის ფორუმის საინაუგურაციო ღონისძიებაზე

მომხსენებლად მიიწვიეს. ფორუმი ჰიბრიდულ ფორმატში 2022 წლის 10 ივნისს, ოქსფორდის უნივერსიტეტის წმ. ანტონის სახელობის კოლეჯში ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს საელჩო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ოქსფორდის უნივერსიტეტის გლობალური და რეგიონალური კვლევების სკოლასთან (OSGA) და საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთად თანამშრომლობით.

ფორუმზე საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლის იუბილე აღინიშნა. ღონისძიების მთავარი თემა იყო: „საქართველოს როლი ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ“, რაც

მიმდინარე მოვლენებსა და თანამედროვე კვლევებს შეეხება. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს მაღალი დონის სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა, პოლიტიკოსებმა, დიპლომატებმა, კულტურის, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. ფორუმზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი და საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში, სოფიო ქაცარავა.

ნიკოლოზ ხატიაშვილმა

ამერიკისმცოდნეობის 23-ე
ყოველწლიურ საერთაშორისო
კონფერენციაში მონაწილეობა
მიიღო

თარიღი: 23.05.2022

„ჯეოქეისის“ მკვლევარმა საგარეო
პოლიტიკის მიმართულებით,



ნიკოლოზ ხატიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ამერიკისმცოდნეობის 23-ე ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლისთავს.

ნიკოლოზ ხატიაშვილმა თავის გამოსვლაში ისაუბრა საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების ისტორიულ კონტექსტზე, მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო ნაბიჯებზე, რომელიც ორი ქვეყნის კავშირს კიდევ უფრო განამტკიცებს და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობაზე, ასევე, როგორც აშშ-ის წვლილზე საქართველოს თავდაცვის ძალებისა და უსაფრთხოების სექტორის გაძლიერების პროცესში.

იხილეთ სრულად: <https://geocase.ge/ka/news/745/nikoloz-khatiashvilma-amerikismcodneobis-23-e-yoveltsliur-saertashoriso-konferenciashi-monatsileoba-miigho>

პროექტები



GEO Intel Project

„ჯეოქეისისა“ და საქართველოს დაზვერვის სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კვლევითი პროექტი “GEO Intel Project”

განხორციელდება.

პროექტი, რომლის მიზანია საქართველოს დაზვერვის სამსახურსა და აკადემიურ წრეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, ხელს შეუწყობს დაზვერვის, როგორც სამეცნიერო მიმართულების განვითარებას, რაც წარმოადგენს დასავლური ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უნიკალური კვლევის ჩატარება, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიის სწორედ იმ პერიოდების შესწავლას, სადაც აქტიურად გამოიყენებოდა სადაზვერვო საქმიანობა. აღნიშნულ კვლევაში აისახება საქართველოში სადაზვერვო საქმიანობის განვითარების ისტორიული პროცესი, რომელმაც მიგვიყვანა თანამედროვე საქართველოს დაზვერვის სამსახურის ჩამოყალიბებამდე.

ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმა

„ჯეოქეისისა“ და საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის (GSAC) თანამშრომლობით, “ეროვნული თანხმობის



აკადემიური პლატფორმის “ფარგლებში შექმნილი დეკლარაციის პრეზენტაცია გაიმართა.

ეროვნული თანხმობის პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში პოლარიზაციის შემცირებას და შექმნას საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული მრავალმხრივი თანამშრომლობის პლატფორმა, თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოებასა და აკადემიურ წრეებში, ხოლო შემდეგ ეტაპზე - ფართო საზოგადოებაში.

ეროვნული თანხმობის დეკლარაციის შექმნის პროცესში ჩართულები იყვნენ აკადემიური და სამოქალაქო საზოგადოების წევრები, რომლებმაც კონსენსუსის პრინციპით განსაზღვრეს ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი საერთო პოსტულატები, რომლებიც დეკლარაციის ტექსტში აისახა.

ეროვნული თანხმობის დეკლარაციის პრეზენტაციას დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ელჩი, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

დეკლარაციას პირველებმა ხელი მოაწერეს პლატფორმის დამფუძნებლებმა და ხელმოწერას დამსწრე საზოგადოებაც შეუერთდა.

იხილეთ დეკლარაცია: <https://geocase.ge/ka/news/870/declaration-on-national-unity>

ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმისა და დეკლარაციის პრეზენტაცია ჩატარდა საქართველოს 6 საუნივერსიტეტო ქალაქში.



ხათუნა ბურკაძემ და ვალერი ჩეჩელაშვილმა, ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმის ფარგლებში, ეროვნული თანხმობის დეკლარაცია ზუგდიდში წარადგინეს (<http://bit.ly/3H02ABJ>).



ხათუნა ბურკაძემ და ვალერი ჩეჩელაშვილმა, ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმის ფარგლებში, ეროვნული თანხმობის დეკლარაცია ბათუმში წარადგინეს (<http://bit.ly/3GBjDZy>).



გიორგი ანთაძემ და თორნიკე შარაშენიძემ, ეროვნული თანხმობის აკადემიური პლატფორმის ფარგლებში, ეროვნული თანხმობის დეკლარაცია გორში წარადგინეს (<https://bit.ly/3IJ1USy>).



ვახტანგ კაპანაძემ და დავით კაპანაძემ ეროვნული თანხმობის დეკლარაცია ახალციხესა და ქუთაისში წარადგინეს ახალციხე (<http://bit.ly/3vVha7v>) და ქუთაისი (<https://bit.ly/3vVha7v>).

გარდა ამისა, შეხვედრები გაიმართება თელავსა და თბილისის უნივერსიტეტებში.



სატრენინგო კურსი „საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხები“

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსი განკუთვნილია 18-დან 25-წლამდე ახალგაზრდებისთვის, რომლებიც

დაინტერესებულნი არიან ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებით.

ტრენინგ-კურსი საშუალებას აძლევს დამწყებ მკვლევრებს და ანალიტიკური საქმიანობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, ცოდნა და უნარები გაიღრმავონ ისეთი მიმართულებებით როგორებიცაა:

- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;
- პოლიტიკის ანალიზი;
- თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება;
- დაზვერვა და კონტრდაზვერვა;
- რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- კიბერუსაფრთხოება;
- პანდემია და ახალი რეალობა;
- ომი და პოლიტიკა.

ხათუნა ბურკაძემ უკრაინის მედეგობასა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე საჯარო ლექცია ჩაატარა - <https://geocase.ge/ka/news/715/khatuna-burkadzem-ukrainis-medegobasa-da-evroatlantikuri-integraciis-mnishvnelobaze-sajaro-leqcia-chaatara>

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსის ფარგლებში ჩატარდა მოდული „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა და კანონმდებლობა“, რომელსაც თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი, გიორგი ანთაძე

უძღვებოდა - <https://geocase.ge/ka/news/720/jeoqesis-satreningo-kursis-meore-moduli-saqartvelos-erovnuli-usaftrkhoebis-arqiteqtura-da-kanonmdebloba-daitsyo>

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსის ფარგლებში ჩატარდა მოდული „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური უსაფრთხოება“, რომელსაც „ჯეოქეისის“ მრჩეველი, ელჩი დავით აფციაური და ეკონომიკური მიმართულების დირექტორი, გიორგი აბაშიშვილი უძღვებოდნენ - <https://geocase.ge/ka/news/730/jeoqesis-satreningo-kursis-mesame-moduli-ekonomikuri-politika-da-ekonomikuri-usaftrkheba-daitsyo>

მოდულის ფარგლებში მონაწილეები ესტუმრნენ ეროვნული ბანკის საკასო ცენტრს <https://www.facebook.com/NationalBankofGeorgia/posts/pfbid0h7GCckijiCfRwviXZwHmrUK7H3HHTzKJkdbpmUt6rACyiuf1d2kw5VNmbGnrFFXrl>

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსის ფარგლებში ჩატარდა მოდული „კოვიდ-პანდემია - გლობალური გამოცდა: გაკვეთილები, მიღწევები, გამოწვევები“, რომელსაც ჯანდაცვის მიმართულების დირექტორი, ზვიად კირტავა უძღვებოდა - <https://geocase.ge/ka/news/755/jeoqesis-satreningo-kursis-sagareo-politika-da-usaftrkhoebis-sakitkhebi-meotkhe-moduli-kovid-pandemia-globaluri-gamocda-gakvetilebi-mightsevebi-gamotsvevebi-tsarmatebit-dasrulda>

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსის ფარგლებში ჩატარდა მოდული „ომი და პოლიტიკა - ომის ფენომენი“, რომელსაც სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ – მაიორი (გადამდგარი), ვახტანგ კაპანაძე უძღვებოდა - <https://geocase.ge/ka/news/761/jeoqesis-satreningo-kursis-moduli-omi-da-politika-omis-fenomeni-tsarmatebit-dasrulda>

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსის ფარგლებში ჩატარდა მოდული „რუსეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“, რომელსაც აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი, ემილ ავდალიანი გაუძღვა.

„ჯეოქეისის“ სატრენინგო კურსის ფარგლებში ბოლო მოდული „დაზვერვა, კონტრდაზვერვა და ეროვნული უსაფრთხოება“ ჩატარდა, რომელსაც „ჯეოქეისის“ მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, საერთაშორისო მდივანი, ნიკოლოზ ხატიაშვილი უძღვებოდა. მოდულის ფარგლებში მონაწილეები

სტუმრად ეწვივნენ საქართველოს დაზვერვის სამსახურს.

<https://geocase.ge/ka/news/781/jeoqesis-satreningo-kursis-monatsileebi-saqartvelos-dazvervis-samsakhurs-etsvivnen>

„ჯეოქეისის“ სტუდენტური სასწავლო პროგრამის: „საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების საკითხები“ მორიგი კურსი წარმატებით დასრულდა -

<https://geocase.ge/ka/news/779/jeoqesis-studenturi-sastsavlo-programis-sagareo-politika-da-usafrtkhoebis-sakitkhebi-morigi-kursi-tsarmatebit-dasrulda>

ინტერვიუები და სტატიები

ვიქტორ ყიფიანი - „ჯეოქეისის“ თავმჯდომარე



კრიზისის ეკონომიკა:

ტენდენციები, თავისებურებები და შესაძლო განვითარება

თარიღი: 10.12.2022

სტატიაში განხილულია

გლობალური ეკონომიკის

თანმდევრი გამოწვევები და მაკრო

თუ მიკრო მასშტაბის პრობლემები. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სოციალური კეთილდღეობის სისტემის მნიშვნელობაზე. ავტორის განმარტებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმტკიცისა და სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, რომ საზოგადოების არცერთი წევრი არა თუ გარიყულად არ გრძნობდეს თავს, არამედ საზოგადოების სრულფასოვან მონაწილედ აღიქმებოდეს. ასეთი თანამონაწილეობისაკენ მიმავალი გზა კი ეკონომიკურ პოლიტიკასა და საკანონმდებლო ღონისძიებებზე გადის, რომლებიც მოქალაქეს, საზოგადოების წევრს (ცხადია, მისი ნებისა და შესატყვისი უნარების გათვალისწინებით) საერო-სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესში საკუთარი ადგილის პოვნის შესაძლებლობას აძლევს.

ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა: “ახალი სოციალური კონტრაქტი: რომლის აუცილებლობაზე საუბრის აქტუალობამაც იმატა და რომლის როლი ისევ და ისევ ზემოაღნიშნულ თემებთან ერთად უნდა განვიხილოთ. მისი არსი ეროვნული მშენებლობის დღის წესრიგში ბიზნესის მეტ თანამონაწილეობაში, საზოგადოებისადმი მის მეტ სოციალურ თანადგომასა და საერო განვითარების მიმართ მეტ პასუხისმგებლობაში გამოიხატება. ერთი სიტყვით, საუბარია იმაზე, რასაც ბიზნესი და საქმიანი წრეები (მათ შორის, საქართველოში) ყოველთვის მეტ-ნაკლებად აკეთებდნენ და თავს ართმევდნენ. ოღონდ, ჩვენი დროისა და რეალობის

გათვალისწინებით, ამის კეთება „მეტობითა“ საჭირო: უფრო სისტემურად, ღრმად, გააზრებულად, გეგმაზომიერად“.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/881/krizisis-ekonomika-tendenciebi-taviseburebebi-dashesadzlo-ganvitareba>

თანამედროვე უსაფრთხოების

დილემა: ქართული

მრავალწახნაგა (მეორე ნაწილი)

თარიღი: 05.11.2022

სტატია ქართული უსაფრთხოების

(ამ სიტყვის ფართო



მნიშვნელობით) ხელშეწყობა-განმტკიცების საოპერაციო მეთოდებისა თუ პრაქტიკული მიდგომების განვრცობას ეხება. ავტორის თქმით, „უსაფრთხოება“, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, თავდაცვის სისტემასა და შეიარაღებულ ძალებზე გაცილებით მეტია. გლობალურ ურთიერთობათა სისტემაში, - სამხედრო-უსაფრთხოების სხვადასხვა ფორმალურ თუ სიტუაციურ კავშირებსა და კონფიგურაციებთან ერთად - უსაფრთხოების დიდი ერთიანი ცნება, უპირველესად ქვეყნის შიგნით, მის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის სიმრთელეს და სიჯანსაღეს უკავშირდება.

ვიქტორ ყიფიანმა განაცხადა: „საგანგებოდ გასაბათილებელია მოსაზრება, თითქოსდა ბალანსირება უდრის უპრინციპობას, უსისტემობასა და გაცნობიერებულ დათმობას. რეალურად საქმე სულ სხვაგვარად არის და უსაფრთხოების დილემის მართვის ამგვარი მიდგომის პრაქტიკას დღეს უკვე არაერთი ქვეყანა გვთავაზობს: მათ შორის ისეთი ქვეყნები, რომლებიც რეალური საფრთხის წყაროსაგან გეოგრაფიულად დამორბეული არიან და სხვებთან შედარებით ბევრად ხელშესახები უსაფრთხოების გარანტიებით სარგებლობენ“.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/858/tanamedrove-usaftrtkhoebis-dilema-qartuli-mravaltsakhnaga-meore-natsili>



თანამედროვე უსაფრთხოების
დილემა: ქართული მრავალწახნაგა
(პირველი ნაწილი)

თარიღი: 24.09.2022

სტატიის პირველი ნაწილი
თანამედროვე უსაფრთხოების
დილემის კრილში ქართული
ქეისის სპეციფიკას ეძღვნება.
ავტორის განმარტებით,

მსოფლიოში შექმნილი (უ)წესრიგ(ობ)ის პირობებში არსებულ გამოწვევებზე
აბსოლუტურად საიმედო და ქმედითი საპასუხო ფორმულა რთულად მოიძებნება.
დროის ცალკეული მონაკვეთები და ცალკეული რეალისტურ-პრაგმატული
გადაწყვეტები კი მოცემული მომენტისა და გარემოებების თანხვედრით
განისაზღვრება.

ვიქტორ ყიფიანმა აღნიშნა: „საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით
განსაზღვრული ინტეგრირება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის საგარეო
და საშინაო პოლიტიკის მაგისტრალური კურსია. ბოლო ხანებში - განსაკუთრებით
კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოველი სამიტის წინ თუ სამიტის
დასრულებისას - ახალი იმპულსით განიხილება ალიანსის წევრობის
მოლოდინები“.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/823/tanamedrove-usaftrtkhoebis-dilema-qartuli-mravaltsakhnaga-pirveli-natsili>

ხათუნა ბურკაძე - „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მიმართულების დირექტორი, პროფესორი



ხათუნა ბურკაძე: „პროაქტიული საგარეო პოლიტიკით პარტნიორების მხარდაჭერის გაზრდასა და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას შევძლებთ“

თარიღი: 13.12.2022

საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მიმართულების დირექტორს, საერთაშორისო სამართლის დოქტორს, პროფესორს, ხათუნა ბურკაძეს ესაუბრა.

ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა: „პარტნიორების მხარდაჭერით, შესაძლებელია მასშტაბური პროექტების განვითარება და განხორციელება, რომელთა შედეგად გვექნება თანამედროვე სატრანსპორტო და ციფრული ინფრასტრუქტურა, რაც ჩვენს სატრანზიტო როლსა და მნიშვნელობას მეტად გააძლიერებს და უსაფრთხოების კომპონენტთან ერთად საქართველოს მისცემს შესაძლებლობას თავისი ინტერესები საერთაშორისო არენაზე უკეთ დაიცვას“.

„რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების ფონზე, ქვეყნის შიგნით არსებული პოლარიზაცია აფერხებს არა მხოლოდ საქართველოს წინსვლას, არამედ ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს სახელმწიფოებრიობას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველყოფა ეროვნულ თანხმობას მოითხოვს. ეროვნული თანხმობის საფუძველზე შემუშავებული ქვეყნის განვითარების საერთო დღის წესრიგი და მის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები ხელს შეუწყობენ ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებას, რომელიც ჩვენი ევროპული, უკეთესი მომავლისათვის აუცილებელია. შიდა დაპირისპირებებს არ უნდა შეეწიროს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის დაჩქარების ისტორიული

შესაძლებლობა, რომლისთვისაც ჩვენმა წინაპრებმა და ჩვენ თავად ვიბრძოლეთ“, - განაცხადა ხათუნა ბურკაძემ. გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია: <https://geocase.ge/ka/publications/883/khatuna-burkadze-proaqtiuli-sagareo-politikit-partniorebis-mkhardatcheris-gazrdasa-da-evrointegraciis-procesis-dachqarebas-shevdzlebt>

ხათუნა ბურკაძე: „საფრთხეების ზრდის ფონზე, როგორც ევროკავშირში, ასევე ნატო-ში ინტეგრაცია დასაჩქარებელია“

თარიღი: 10.10.2022



ხათუნა ბურკაძემ განაცხადა: „21-ე საუკუნეში კრემლის მიერ

უკრაინის დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების ანექსია, მობილიზაციის გამოცხადება და ბირთვული იარაღის გამოყენების მუქარა მკაფიოდ წარმოაჩენს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის დრამატულ მხარეებს. მიანიშნებს, რომ პროცესი კიდევ უფრო სახიფათო მასშტაბებს იძენს. მით უფრო იმ ფონზე, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ობიექტები რუსეთის ფედერალურ საკუთრებად აქციოს. ცხადია, აღნიშნული ბრძანებულება ბათილია, რადგან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ხელყოფითაა მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უკანონობას ეფუძნება შეუძლებელია იქცეს კანონიერად და სამართლებრივი შედეგები წარმოშვას. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების უხეში დარღვევაა და ერთგვარი მცდელობა კოლონიალიზაციის პერიოდში დაბრუნებისა“.

ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა: „მიუხედავად კრემლის მუქარისა, რეზერვისტების რაოდენობის გაზრდისა და უკანონო რეფერენდუმების შედეგად ძალით უკრაინის ტერიტორიების მიერთებისა, საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე

მხარდაჭერით, უკრაინა კონტრშეტევითი ოპერაციების განხორციელებას აგრძელებს და დეოკუპაციის პროცესის წარმატებით დასრულებას, გამთლიანებას შეძლებს“.

მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, ეს რთული და, შესაძლოა, ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდეს. შესაბამისად, ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია, რეგიონალურ დონეზე სათანადო ინსტრუმენტებისა და მექანიზმების გაძლიერება.

„საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მოწყვლადობის ფონზე, საქართველომ პროაქტიული საშინაო და საგარეო პოლიტიკითა და კონსტრუქციულობით უნდა მიაღწიოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მიზნებს. ინტეგრაციის პროცესი დასაჩქარებელია როგორც ევროკავშირის, ასევე ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართულებით. აღნიშნული სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევად კრიტიკულად მნიშვნელოვანია პარტნიორებთან, განსაკუთრებით სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება“, - დასძინა ხათუნა ბურკაძემ.

გაეცანით ხათუნა ბურკაძის თვალსაზრისს

<https://www.interpressnews.ge/ka/article/729873-xatuna-burkaze-saprtxeebis-zrdis-ponze-rogorc-evrokavshirshi-aseve-nato-shi-integracia-dasachkarebelia>



ხათუნა ბურკაძე: „ნატო რუსეთის აგრესიის პირისპირ მყოფი პარტნიორების მხარდაჭერას ზრდის, რაც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის“

თარიღი: 01.07.2022

ხათუნა ბურკაძემ აღნიშნა: „ნატო-ს მადრიდის სამიტის უმთავრესი შედეგი გახლდათ სტრატეგიული კონცეფციის მიღება, რომლის თანახმად რუსეთის ფედერაცია არის მთავარი და პირდაპირი საფრთხე ალიანსის უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის, სტაბილურობისათვის ევროატლანტიკურ სივრცეში. ნატო-ს ყველა წევრის მიერ რუსეთის ოფიციალურად მთავარ საფრთხედ აღიარება კი ცვლის ალიანსის მიდგომებს. ნატო ორიენტირებულია შეკავებისა და თავდაცვის ინსტრუმენტების განმტკიცებაზე, მედეგობის უზრუნველყოფასა და რუსეთის აგრესიის პირისპირ მყოფი პარტნიორების მხარდაჭერის გაზრდაზე“.

მისი თქმით, სამიტმა აჩვენა, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის კრიტიკულ მომენტში ნატო-ს ხედვა მკაფიოა - ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებს სურთ ისეთ მსოფლიოში ცხოვრება, სადაც სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართალი არის დაცული და თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია აირჩიოს საკუთარი გზა აგრესიისა და სხვა ტიპის იძულებითი ქმედებების გარეშე. ნატო-ს წევრები ერთობლივი ძალისხმევით დაიცავენ თავიანთ თავისუფლებასა და შეიტანენ წვლილს საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში.

ხათუნა ბურკაძემ განაცხადა: „ევროპაში უსაფრთხოების შეცვლილი გარემოს გათვალისწინებით ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება შესთავაზოს საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და მოლდოვის რესპუბლიკას პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის ახალი ზომები. აღნიშნული ზომები მიზნად ისახავენ მათი მედეგობის უზრუნველყოფასა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვას“.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/775/khatuna-burkadze-nato-rusetis-agresiis-pirispir-myofi-partniorebis-mkhardatcheras-zrdis-rac-saqartvelos-tavdacvisunarianobis-gadzlierebisatvis-akhal-shesadzleblobebs-qmnis>

გიორგი აბაშიშვილი - „ჯეოქეისის“ ეკონომიკური მიმართულების დირექტორი



ეკონომიკური ზრდის შემცირება,
ინფლაცია - როგორ უნდა
უპასუხოს საქართველომ
მოსალოდნელ რისკებს

თარიღი: 21.03.2022

ეფექტური სატრანსპორტო და
ლოგისტიკური სისტემები ქმნიან

ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესაძლებლობებს და სარგებელს, რომელიც გამოიხატება ისეთ დადებით მულტიპლიკაციურ ეფექტებში, როგორებიცაა: ბაზრების, განათლების, დასაქმების და დამატებითი ინვესტიციების ხელმისაწვდომობის ზრდა. კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალის, შესაძლებლობების, არსებული პრობლემების, გამოწვევების და პერსპექტივების ანალიზს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველომ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებთან ერთად შეიმუშაოს რეგიონული სატარიფო პოლიტიკა. შესაბამისად, უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია. აღნიშნული, ცალსახად გაამარტივებს ოპერაციების მართვას და ამასთან, ეფექტურად წარმოაჩენს საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალს. გარდა ჩამოთვლილისა, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის და ლოგისტიკური პოტენციალის სრულად ასათვისებლად უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო და რეგიონების დამაკავშირებელი საავტომობილო გზების მშენებლობა.

სტატიის ფარგლებში შემუშავებული კომპლექსური რეკომენდაციები მნიშვნელოვნად წარმოაჩენს ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალსა და მის მიმზიდველობას.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://businessformula.ge/News/7761>

დივერსიფიკაციის შიში -
გაკვეთილი, რომელიც
საქართველომ ვერ ისწავლა

თარიღი: 10.02.2022

სტატიაში განხილულია
სავაჭრო პოლიტიკა, როგორც



ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოყენებულია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებისა და იმპორტზე დამოკიდებულების მაგალითები. აქვე, ხაზგასმულია სასურსათო უსაფრთხოების საკითხის აქტუალობა, როლი და მნიშვნელობა. სტატია ეხება უკრაინაში განვითარებული მოვლენების პოტენციურ გავლენას საქართველოს სავაჭრო პოლიტიკაზე და ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტსაც. აღნიშნული მიმართულებით წარმოდგენილი ანალიზის ფარგლებში იდენტიფიცირებული რისკების ერთ-ერთ არგუმენტად გამოყენებულია უახლესი მონაცემები, რომლებიც აჩვენებენ მინიმუმ ორ ქვეყნაზე რუსეთსა და უკრაინაზე დამოკიდებულებას. წარმოდგენილი საკითხი გაანალიზებულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) თვალსაზრისითაც. ამავდროულად, განხილულია საკითხი აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

ზემოთქმულის საფუძველზე, სტატიის ფარგლებში წარმოდგენილი დასკვნა შემდეგი შინაარსისაა: „ვაჭრობის დივერსიფიკაციის მიმართულებით ქვეყნის აქტივობა მინიმალური და სიმბოლურია. რაც აჩენს განცდას, რომ კიდევ ერთ დიდ შესაძლებლობას ვუშვებთ ხელიდან DCFTA-ის სახით და კვლავ „ძველ ორბიტაზე“, მუდმივი რისკის და შანტაჟის ქვეშ ყოფნას ვარჩევთ“.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია: <https://businessformula.ge/News/6920>



აზერბაიჯანი-სომხეთის
მოლაპარაკებები და საქართველოს
ახალი სატრანზიტო ამოცანა

თარიღი: 24.01.2022

სტატიაში განხილულია რუსეთ
უკრაინის ომის სავარაუდო რისკები
და გამოწვევები, რომლებიც პირდაპირ

თუ ირიბად გავლენას იქონიებს საქართველოზე. აღნიშნულ ნაწილში, გაანალიზებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის უახლესი მოსაზრებები, საიდანაც გამოყოფილია სამი ფუნდამენტური საკითხი, რომლის ირგვლივაც სტატიის ფარგლებში განვითარებულია მსჯელობა. ესენია პოტენციური მიმართულებები: საკვებისა და ენერგორესურსების ფასები, მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო/ეკონომიკური ურთიერთობები და ინვესტორთა მოლოდინები.

სსფ-ის ანალიზის საფუძველზე ნაშრომში მოცემულია რისკების პრიორიტეტიზაცია საქართველოსთვის. აღნიშნული მოიაზრებს შემდეგს: რისკი N1: სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში რუსეთის დომინანტი პოზიცია; რისკი N2: ფულად გზავნილებში, რუსეთის წილი; რისკი N3 ტურისტების შემცირების მოლოდინი ორივე ქვეყნიდან - სავალუტო შემოდინებები; რისკი N4 გაურკვეველი მოლოდინების ფაქტორი და ნდობის შემცირება - რეინვესტირების რისკი.

სტატიის ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავრობის მხრიდან, კოორდინაციაში საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ოპერატიული სამუშაო ჯგუფის განსაზღვრის საკითხი, რომელიც აქცენტირებულად იმუშავებს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე და კვალიფიციურ პასუხებს გასცემს წარმოდგენილ რისკებს.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/656/azebaijani-somkhetis-molaparakebebi-da-saqartvelos-akhali-satranzito-amocana>

გიორგი ანთაძე - „ჯეოქეისის“ თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი



გიორგი ანთაძე: „გლობალური და რეგიონული მოვლენები საქართველოს მზარდ როლზე მოასწავებს, საჭიროა შექმნილი ვითარების სწორად გამოყენება, ამიტომ შიდაპოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციას დიდი

მნიშვნელობა ექნება“

თარიღი: 26.12.2022

„ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გიორგი ანთაძე წლის გეოპოლიტიკური მოვლენების შეჯამებას აკეთებს. ინტერვიუში ფართოდ არის განხილული 2022 წლის ძირითადი მოვლენები საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში და საუბარია მათ მნიშვნელობასა და გავლენაზე გლობალური მასშტაბით.

ინტერვიუს მეორე ნაწილი ეხება საქართველოს შიდაპოლიტიკურ ცხოვრებასა და გლობალური გეოპოლიტიკური მოვლენების ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე გავლენას.


გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/739621-giorgi-antaze-globaluri-da-regionuli-movlenebi-sakartvelos-mzard-rolze-moascavebs-sachiroa-shekmnili-vitarebis-scorad-gamoqeneba-amitom-shidapolitikuri-cxovrebi-stabilizacias-didi-mnishvneloba-ekneba>

აშშ-ის ახალი ეროვნული
უსაფრთხოების სტრატეგია:
აქცენტები და გამოწვევები

თარიღი: 25.10.2022

„ჯეოქეისის“ თავდაცვისა და
უსაფრთხოების მიმართულების
დირექტორი, გიორგი ანთაძე



სტატიაში „აშშ-ის ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია: აქცენტები და გამოწვევები“ მიმოიხილავს აშშ-ის ახალ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას. სტატიაში განხილულია სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები, აშშ-ის გლობალური ხედვა უსაფრთხოების გარემოს თაობაზე და მისი სტრატეგიული მიზნები და ინტერესები.

ნაშრომი დეტალურად განიხილავს სტრატეგიის ყველაზე მთავარ სიახლეებსა და აქცენტებს. მასში მოცემული ანალიზი საინტერესოა ყველა იმ ადამიანისათვის, რომელთა პროფესიული თუ აკადემიური საქმიანობა უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის საკითხებს.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/845/ashsh-is-akhali-erovnuli-usaftrtkhoebis-strategia-aqcentebi-da-gamotsvevebi>



ჰიბრიდული ომის ტყვეობაში:
რუსეთ-უკრაინის ომის რამდენიმე
ასპექტის შესახებ

თარიღი: 20.06.2022

გიორგი ანთაძის სტატიაში
განალიზებულია უკრაინაში

მიმდინარე ომის ძირითადი სამხედრო-სტრატეგიული ხასიათი და ის შეცდომები, რომლებიც რუსეთმა ამ ომის სტრატეგიული დაგეგმარების ეტაპზე დაუშვა. განხილულია რუსული ჰიბრიდული ომის სავარაუდო უარყოფითი გავლენა

რუსეთის სამხედრო ჩანაფიქრის რეალიზაციაზე და საბრძოლო მოქმედებების ხასიათზე. ნაშრომის ავტორი ცდილობს მკითხველს დაანახოს, ამა თუ იმ კონცეფციებით გატაცებამ როგორ შეიძლება მოახდინოს უარყოფითი გავლენა სამხედრო-ოპერატიულ ჩანაფიქრებისა და გეგმების რეალიზაციაზე. ამასთან, საუბარია კლაუზევიცის სამხედრო თეორიული ასპექტების რელევანტობის თაობაზე რუსეთ-უკრაინის ომის ჭრილში.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/763/hibriduli-omis-tyveobashi-ruset-ukrainis-omis-ramdenime-aspeqtis-shesakheb>

ზვიად კირტავა - „ჯეოქეისის“ ჯანდაცვის მიმართულების დირექტორი,
პროფესორი



ზვიად კირტავა: „აუცილებელია სიცხის და გრიპის სიმპტომების შემთხვევაში თვითიზოლაციის წესების დაცვა, გვახსოვდეს, რომ ინფექციის ფართო გავრცელება საზოგადოებისთვის მძიმე გამოცდად შეიძლება იქცეს“

თარიღი: 26.12.2022

კოვიდის დაწყებიდან 3 წლის და ომიკრონის ტალღიდან 1 წლის თავზე პანდემია მსოფლიოში მნიშვნელოვანწილად მართულია, და ამჟამად მრავალ ქვეყანაში (ისევე, როგორც საქართველოში) უფრო სერიოზულ პრობლემებს გრიპის ახალი ვარიანტები და რესპირატორულ-სინციტიური ვირუსის ტალღა ქმნის. თუმცა, ძალიან ნაადრევია კორონავირუსის ჩამოწერა ანგარიშიდან, რადგან ამ ვირუსს ტრანსფორმაციის და მოულოდნელი სიურპრიზების ძალიან მაღალი პოტენციალი აქვს. თვითდამშვიდება ძალიან ნაადრევია და შეიძლება დღეს მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე 1 წლის წინ იყო, მაგრამ ამავე დროს არის რიგი მოვლენები, რომელიც ლამის სრული დეჟავიუს განცდას ქმნის. ეს ეხება, პირველ რიგში ჩინეთში გაზაფხულიდან დაწყებულ ახალ ტალღას, რაც უფრო მასშტაბური ხდება (ძირითადად - პეკინსა და ჩენჟენში). ასევე იმას, რომ ჩინეთმა ახლახანს 180 გრადუსით შეცვალა თავისი პანდემიური პოლიტიკა - გააუქმა შეზღუდვები, ლოქდაუნები და სავალდებულო ტესტირებაც კი. ასევე, შეცვალა კოვიდ-ლეტალობის დეფინიცია.

არსებობს დაუწერელი კანონი, რომ მკაცრად კონტროლირებადი აკრძალვითი სისტემის სწრაფი და სრული დემონტაჟი არსებული სტაბილური მდგომარეობის რღვევით და სულაც ქაოსით შეიძლება შეიცვალოს.

ადამიანები, რომლებიც მორჩილად იტანდნენ მაქსიმალურ შეზღუდვებს, დადგენ მოულოდნელი დილემის წინაშე - თუ არაფერი აკრძალული აღარ არის, ესეიგი ყველაფერი ნებადართულია?

ერთადერთი, რაც გამოცხადდა, - სიცხიანი ან სხვა სიმპტომების მქონე ადამიანები თვითიზოლაციაში უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ ეს განცხადება უჩვეულოდ რბილი ფორმით იყო მოწოდებული და, სავარაუდოდ, მისი დაცვა არ ხდებოდა.

სწორედ ამიტომ, ახლა ჩინეთში უკვე ისმის ეპიდემიოლოგების მკვეთრი შემფოთება, რომ შეზღუდვების ასე მოულოდნელი და ერთიანი მოხსნა, - თან იმ დროს, როცა ომიკრონის შემთხვევები საკმაოდ იზრდებოდა პეკინში, ძალიან გაართულებს სიტუაციას.

ტესტირების გაუქმებას დაემთხვა ისიც, რომ ჩინეთში შეიცვალა კოვიდ-გარდაცვალების დეფინიცია. ახლა კოვიდით გამოწვეულ სიკვდილად ითვლება მხოლოდ კორონავირუსით გამოწვეული პნევმონიითა და მწვავე სუნთქვითი უკმარისობით სიკვდილი.

ყურადღებით უნდა დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და დამატებითი, დამაჯერებელი ინფორმაციების გამოჩენას. ფაქტია, რომ ორი ციფრიდან - არაოფიციალურად გავრცელებული ხმები იმაზე, რომ ბოლო თვეში უკვე 250 მილიონია ინფიცირებული, და, - ოფიციალურად გავრცელებული - მხოლოდ 62,592 სიმპტომატური შემთხვევა - ერთ-ერთი ძალიან აცდენილია რეალობას.

ჩინეთის ხელისუფლება, ისევე როგორც გაეროს წევრი ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია დაიცვას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წესები პანდემიის საფრთხის დროული დადგენის, შემთხვევების გამოვლენის, აღრიცხვის და სასწრაფო ინფორმირების კუთხით.

ასევე ვალდებულია განახორციელოს სრულყოფილი ეპიდემიოლოგიური კონტროლი. მსგავსი სურათის გამეორებისას მსოფლიო თანამეგობრობის რეაქცია, სავარაუდოდ, გაცილებით მძაფრი შეიძლება იყოს, რადგან უკვე კარგად ვიცით, 2019-20 წლების მიჯნაზე ამას რა მოჰყვა.

როგორც ჯანმომ, ასევე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მოუწოდეს ჩინეთის ხელისუფლებას მეტი ტრანსპარენტულობისა და შემთხვევების სტატისტიკის გაზიარებისაკენ. ჯანმომ გააფრთხილა ჩინეთი, რომ ჯერ ძალიან ადრეა პანდემიის დასრულებულად გამოცხადება.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/894/zviad-kirtava-aucilebelia-sickhis-da-gripis-simptomebis-shemtkhvevashi-tvitizolaciis-tsesebis-dacva-gvakhsovdes-rom-infeqciis-farto-gavrceleba-sazogadoebistvis-mdzime-gamocdad-sheidzleba-iqces>

ზვიად კირტავა: „კორონავირუსი - პანდემიის დასასრული თუ დროებითი ამოსუნთქვა?“

თარიღი: 20.04.2022

პოპულაციური იმუნიტეტი ინფექციაგადატანილთა და ვაქცინირებულთა ჯამზეა



დამოკიდებული. მართალია, ვაქცინირებულთა მაჩვენებელი ჩვენთან ამჟამადაც სასურველი 70% კი არა, - 50%-ზე დაბალია, თებერვალ-მარტში ომიკრონი, ალბათ, 1 მილიონამდე ადამიანმა გადაიტანა (ბევრმა - უსიმპტომოდ).

გამოდის, რომ იმ 1 მილიონზე მეტ ვაქცინირებულს კიდევ ერთი ამდენი ახლო წარსულში კოვიდგადატანილი ემატება და სწორედ ეს ჯამური იმუნიტეტი არის მიზეზი, რომ მიუხედავად შეზღუდვების დიდი ნაწილის მოხსნისა, შემთხვევების მაჩვენებელი ახლა არ იზრდება.

ჩინეთმა ვერ შეძლო საკუთარი ვაქცინების უპირატესობაში მსოფლიოს დარწმუნება, მაგრამ ამ მხრივაც მისი შედეგები რუსეთისას ბევრად სჯობს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ჩინური ვაქცინების წარმოების ხელშეწყობით და აპრობირებით მან საკმაოდ სერიოზული ფუნდამენტი შექმნა აფრიკასა, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში.

ვფიქრობ, ზამთარში ომის დაწყება პუტინმა არა მარტო გაზის გადაკეტვის შანტაჟის გამო, არამედ იმიტომაც წამოიწყო, რომ პანდემიამ, მისი აზრით, გაზარდა დასავლეთის ბანაკში არა მარტო ფინანსური არასტაბილურობა, არამედ წარმოშვა გარკვეული ახალი უთანხმოებები (ვაქცინების განაწილების, ვაქცინების პროტექციონიზმის, განვითარებადი ქვეყნებისთვის ვაქცინების მიწოდების გრაფიკის, დაფინანსების და სხვა საკითხებთან მიმართებაში).

მისდა სამწუხაროდ, სწორედ პუტინის აგრესიულმა ქმედებებმა შექმნა ის სტიმული, რაც დასავლეთის და ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოების სწრაფ გაერთიანებას შეუწყობს ხელი.

როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ *si vis pacem, para bellum* – „თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის“. ახლა ამ ფრაზამ პირდაპირის გარდა, გადატანითი მნიშვნელობაც შეიძინა - კორონავირუსთან მიმართებაში. „კოვიდთან ცხოვრების სწავლება“ არ ნიშნავს კოვიდთან შეგუებას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ვირუსიც ასევეა განწყობილი.

ჯობს, საფრთხე დასრულებულად არ ჩავთვალოთ, მსოფლიო ტენდენციებს და აღმოჩენებს თვალყური ვადევნოთ და პანდემიის მიმდინარეობაში არსებული მშვიდი პერიოდი შემდგომი საფრთხეების პრევენციისათვის აქტიურად გამოვიყენოთ.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/706960-zviad-kirtava-koronavirusi-pandemiis-dasasruli-tu-droebiti-amosuntkva/>



პანდემიის მლეღვარე და იმედიაწი
ზამთარი

თარიღი: 10.01.2022

სტატიაში მიმოხილული იყო
კორონავირუსის პანდემიის
შემთხვევების უმაღლესი პიკი
საქართველოში 2021-22 წლების
მიჯნაზე, როცა ამ მეტად
შემაშფოთებელი ტენდენციის

პარალელურად გამოიკვეთა საპირისპირო ტენდენცია - ომიკრონის რამდენადაც
ძალიან ხშირი იყო, იმდენადაა - გაცილებით ნაკლებად ლეტალური.
გაანალიზებული იყო მსოფლიო ქვეყნების მაჩვენებლები, სადაც შემთხვევების
ლამის გაათმაგების პარალელურად სიკვდილობის მაჩვენებელი თითქმის იგივე
დარჩა.

საქართველოში 9 იანვრისთვის ომიკრონის 600-მდე შემთხვევა იყო
იდენტიფიცირებული და მათგან იმ ეტაპზე მხოლოდ 8-ს დაჭირდა
ჰოსპიტალიზაცია, რაც 1%-ზე ნაკლებია. თუ გავიხსენებთ, რომ ბოლო პერიოდში
დელტას აქტიური შემთხვევებიდან 10-15%-ის ჰოსპიტალიზაცია ხდებოდა,
გამოდის, საქართველოშიც ომიკრონის (ყოველ შემთხვევაში აქამდე
დაფიქსირებული) შემთხვევები გაცილებით მსუბუქია.

ავტორის პროგნოზით ომიკრონის დომინანტური გავრცელებისა და მის მიერ
დელტას ჩანაცვლების ფონზე იანვარ-მარტში მკვეთრად გაიზრდებოდა
ინფიცირების, მათ შორის რეინფიცირების რისკი, მაგრამ შედარებით მძიმე და
ლეტალური შემთხვევების წილი დაქვეითდებოდა. გაზიარებული იყო ჯანმოს
რიგი ექსპერტების ფრთხილი ოპტიმიზმი, რომ ომიკრონი, შეიძლება, პანდემიის
ბოლო ძლიერი ტალღა შეიძლება იყოს - თუ მასობრივი ინფიცირების შემდეგ
ვაქცინირებულთა და გადატანილთა ჯამური იმუნიტეტის წყალობით ვირუსს
გავრცელებისთვის ახალი მასპინძლების პოვნა მკვეთრად შეეზღუდება.

პრობლემა მსოფლიოსთვის დიდი ნაწილისთვის და ჩვენთვის - განსაკუთრებით - სამწუხაროდ, დელტა ვარიანტი არ გამქრალა და არსებული სიკვდილობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სწორედ დელტას შემთხვევებზე მოდის. ჩვენ რომ დეკემბრისთვის ვაქცინაციის 60% მაჩვენებლისთვის მიგვეღწია, ალბათ, დელტა შემთხვევების მაღალი ციფრის მიუხედავად, სიკვდილობა 5-10-ჯერ დაიწევდა, როგორც ეს ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მოხდა და სამედიცინო სექტორიც უფრო ნაკლებ გადაღლილი შეხვდებოდა ომიკრონის ტალღას.

გამოსავალი: პირველადი ჯანდაცვის მიერ ომიკრონის შემთხვევების ადგილზე დისტანციურად (მათ შორის - ონლაინ და ვიდეოზარებით) მართვა, ჰოსპიტალიზაცია - მხოლოდ საშუალო და მძიმე შემთხვევებში. 50 წელს გადაცილებული პირების ვაქცინაციის გაძლიერება, სამედიცინო და კრიტიკული სერვისების პერსონალის მაქსიმალურად აცრა ორჯერადად და ბუსტერ დოზებით და რეზერვის დროული გადამზადება/მობილიზაცია.

სტატიაში ასევე იყო გამოთქმული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის აღდგენის და პანდემიური კონტროლის მოდიფიცირებული მეთოდების შესახებ, ისევე როგორც ინფოდემიასთან დაპირისპირების თაობაზე.

ავტორის საბოლოო დასკვნა და პროგნოზი: გლობალური პანდემიური კრიზისი კიდევ ერთ - ზამთრის გამოცდას გვიმზადებს, რომელიც, ალბათ, პანდემიის დასასრულის დასაწყისიცაა. თუმცა ფინიშამდე რამდენიმეკვირიანი საკმაოდ რთული ბოლო ეტაპის გავლა მოგვიწევს. ამ მომენტში მაქსიმალური სიბრძნე, მოთმინება, სიმტკიცე და ეპიდემიოლოგიური რეკომენდაციების შესრულებაში საზოგადოებრივი კონსენსუსი გვმართებს.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/644/pandemiis-mghelvare-da-imediani-zamtari>

ემილ ავდალიანი - „ჯეოქეისის“ აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების დირექტორი



ემილ ავდალიანი - გრძელვადიანი ტრენდი ცალსახაა - შავი ზღვა დღევანდელი გეოპოლიტიკის ეპიცენტრს წარმოადგენს

თარიღი: 11.10.2022

რუსეთი უკრაინაში შეეჯახა იმას, რასაც ევროპელი დამპყრობლები

ხვდებოდნენ საკუთრივ რუსეთში წინა საუკუნეებში: უზარმაზარი ტერიტორია, ცუდი გზები და ამინდები. არსებულ პირობებში უკრაინაში რუსეთის მიერ მყარი სამხედრო გამარჯვების მოპოვება პრაქტიკულად შეუძლებელია. რაც უფრო მეტად ხვდებიან ამას მოსკოვში, სულ უფრო მეტ სისასტიკეს და ომის ესკალაციას ექნება ადგილი.

გთხოვთ, იხილოთ სრული ვერსია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/730073-emil-avdaliani-grzelvadiani-trendi-calsaxaa-shavi-zgva-dgevandeli-geopolitikis-epicentrs-carroadgens/>

ვახტანგ კაპანაძე, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ – მაიორი (გადამდგარი), მრჩეველი



ვახტანგ კაპანაძე:
„რუსები მილიონ-
ნახევარი არმიითაც ვერაფერს
მიაღწევენ“

თარიღი: 23.12.2022

„ბათუმელებმა“ „ჯეოქეისის“

მრჩეველთან, გადამდგარ გენერალ-მაიორთან, ვახტანგ კაპანაძესთან ინტერვიუ ჩაწერა. რა მიიღო ზელენსკიმ აშშ-ში ვიზიტის შედეგად? მისცემენ იმ შეიარაღებას, რაც უკრაინას სჭირდება, თუ ძირითადად მაინც თავდაცვითი იარაღის მიწოდებით შემოიფარგლება დასავლეთი?

„უკრაინელები ისეთ ეფექტურობას აჩვენებენ, შეიძლება 4 თვეზე მეტი დრო არც დასჭირდეთ,“ – ამბობს გადამდგარი გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე „პატრიოტის“ კომპლექსზე, რომელსაც უკრაინას უგზავნიან. მას მოლოდინი აქვს, რომ უკრაინის დიდი ქალაქების და სტრატეგიული ობიექტების დაცვა სრულად ვერა, თუმცა უფრო ეფექტიანად მოხერხდება.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/455814>



ვახტანგ კაპანაძე: „ის, რაც ბუჩაში
ვნახეთ, არის დემორალიზებული,
შემინებული, სტიქიური და
ველური ინსტინქტების
გამოვლენა, ამოხეთქილი
ბოროტება“

თარიღი: 06.04.2022

ვახტანგ კაპანაძემ აღნიშნა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბუჩაში წარმატებული მხარე შევიდა და მომხდარი წარმატებულმა მხარემ ნახა, თორემ მარიუპოლში ალბათ, უარესი მდგომარეობაა. კაპანაძის თქმით, დღეს რომანტიული ბრძოლების პერიოდი აღარ არის და თანამედროვე ომი ძალიან მძიმე და სისხლიანია, რაც მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი დანაკარგით ხასიათდება.

„რომანტიული ბრძოლების პერიოდი აღარ არის, ბრიტანელები და ფრანგები რომ მე-18 საუკუნეში ერთმანეთს ბრძოლის ველზე შეხვდნენ, ერთმანეთს ას მეტრზე მიუახლოვდნენ და ფრანგებმა უთხრეს, გთხოვთ, პირველებმა თქვენ გვესროლეთო, ბრიტანელებმა კი უთხრეს, მხოლოდ თქვენ შემდეგო. ეს პერიოდი დამთავრდა. თანამედროვე ომი ძალიან სისხლიანია, მძიმე და მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი დანაკარგით ხასიათდება, მით უმეტეს, ურბანულ რაიონებში. თქვენ გახსოვთ, ჩეჩნეთის პირველ ომში 100 000-მდე სამოქალაქო პირია დაღუპული. მაშინ, როდესაც სადღაც, 7 000 ჩეჩენი მეზობლი დაიღუპა. მეორე ომი უფრო მოკლევადიანი იყო და იქ ნაკლები მსხვერპლი იყო, მაგრამ მაინც დიდი რაოდენობით მოსახლეობა დაიღუპა“, – განაცხადა კაპანაძემ.

კაპანაძის თქმით, არსებობს ომის კანონები და ყველაზე მთავარი, რაც დაცულ კატეგორიაში შედის და ვისზეც ზემოქმედების განხორციელება არ შეიძლება, არის მოწინააღმდეგის დაჭრილები და ავადმყოფები, სამხედრო ტყვეები, სამედიცინო პერსონალი და სასულიერო პირები, ჩაძირული ხომალდის ეკიპაჟი და მშვიდობიანი მოსახლეობა.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია: <https://1tv.ge/news/vakhtang-kapanadze-is-rac-buchashi-vnakhet-aris-demoralizebuli-sheshinebuli-stiqiuri-da-veluri-instinqtebis-gamovlena-amokhetqili-boroteba/>

ვახტანგ კაპანაძე: „რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ინიციატივა დაკარგეს - გარკვეულწილად, დაისადგურა ოპერატიულმა პაუზამ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეტაკებების ინტენსივობა ნაკლებია და ნაკლები სისხლი იღვრება“



თარიღი: 05.04.2022

„ჯეოქეისის“ მრჩეველმა, გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა, გადამდგარ გენერალ-მაიორმა, ვახტანგ კაპანაძემ „ქრონიკაში“ სტუმრობისას უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით ისაუბრა.

ვახტანგ კაპანაძე: „რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ინიციატივა დაკარგეს. გარკვეული მიმართულებით, ამ ინიციატივას ინარჩუნებენ, დაკარგეს შეტაკებების ტემპი და ისინი გადავიდნენ უფრო გაჭიანურებულ ფაზაში. მიმდინარეობს ლოკალური შეტაკებები. უკრაინამ ორი დღეა, დაიწყო ლოკალურ კონტრშეტევების განხორციელება. ამ ეტაპზე, თითქოს, გარკვეულწილად, დაისადგურა ოპერატიულმა პაუზამ. ეს ნიშნავს, რომ შემტევ მხარეს არ გააჩნია უნარი და ძალა, რომ გააგრძელოს შეტევა და დამცველ ძალას ჯერ არ გააჩნია შესაძლებლობა, რომ კონტრდარტყმა განახორციელოს, რის გამოც, ჯერჯერობით, მცირე შეტევებს ახორციელებს. ეს აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ შეტაკებების ინტენსივობა, დამაბულობა ნაკლებია და რომ ნაკლები სისხლი იღვრება. ეს ნიშნავს, რომ ლოკალური ბრძოლები მიმდინარეობს, არ წყდება“.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://imedinews.ge/ge/msofli/240956/generalmaiori-vakhtang-kapanadze-rusetis-sheiaragebulma-dzalebma-initsiativa-dakarges--garkveultsilad-daisadgura-operatiulma-pauzam-magram-es-ar-nishnavs-rom-shetakebebis-intensivoba-naklebia-da-naklebi-siskhli-igvreba>

ნიკოლოზ ხატიაშვილი - „ჯეოქეისის“ მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, საერთაშორისო მდივანი

ნიკოლოზ ხატიაშვილი:

„საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს რეგიონული სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშეწყობის პროცესში“



თარიღი: 07.10.2022

ინტერვიუში ნიკოლოზ ხატიაშვილი საუბრობს საქართველოზე, როგორც რეგიონული სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშეწყობ ქვეყანაზე. ამ კონტექსტში ყურადღება გამახვილებულია სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების დარეგულირებაში საქართველოს ჩართულობაზე, საქართველოს ურთიერთობებზე მეზობლებთან და სამხრეთ კავკასიის რეგიონზე უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე. ნიკოლოზ ხატიაშვილი აფასებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ინიციატივას საქართველოზე, როგორც მედიატორზე სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების ნორმალიზებაში.

გთხოვთ, იხილოთ სრული ვერსია: <https://fortuna.ge/fortuna/post/nikoloz-khatiashvili-saqartvelos-aqvs-shesadzlebloba-rom-mnishvnelovani-rol-iitamashos-regionuli-stabilurobisa-da-mshvidobis-khelshevyobis-processhi>



"შეიგან მტერი, შეიგანი საკუთარი თავი და ათასობით ბრძოლას დაუმარცხებლად ჩაატარებ" - როგორია სადაზვერვო ინფორმაციის მნიშვნელობა რუსეთ-უკრაინის ომში?

თარიღი: 27.04.2022

აღნიშნულ ინტერვიუში ნიკოლოზ ხატიაშვილი საუბრობს ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში დაზვერვის როლზე, როგორც ომის, ასევე, ზოგადად, ქვეყნის უსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. ინტერვიუში ყურადღება გამახვილებულია დაზვერვის ისტორიულ ასპექტებზე, ასევე, უკრაინაში მიმდინარე ომზე, რომელშიც სადაზვერვო ინფორმაციას უდიდესი როლი აკისრია ამ სახელმწიფოს სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების მიღწევაში. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია უკრაინაში მიმდინარე ომის შესაძლო შედეგებზე და ამ ომში რუსეთის სპეცსამსახურების აქტივობებზე, სადაც ისინი იყენებენ საინფორმაციო ომის ელემენტებს, პროპაგანდას და დეზინფორმაციას. ინტერვიუს ბოლოს საუბარია უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენაზე მსოფლიო წესრიგზე და საქართველოს როლზე შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში.

გთხოვთ, იხილოთ სრული ვერსია: <https://kvirispalitra.ge/article/91934-sheican-mteri-sheicani-sakutari-tavi-da-atasobit-brzolas-daumarcxeblad-chaatareb-rogoria-sadazvervo-inpormaciis-mnishvneloba-ruset-ukrainis-omshi/>

NATO-ს გაფართოება ჩრდილოეთით

თარიღი: 24.04.2022

ინტერვიუში ნიკოლოზ ხატიაშვილი საუბრობს ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, საქართველოს როლზე ევროპის უსაფრთხოებაში, კოლექტიური უსაფრთხოების მნიშვნელობასა და საქართველოს როლზე შავი ზღვის რეგიონში

სტაბილურობისა და მშვიდობის ხელშეწყობაში. ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის ენერგო დამოკიდებულების შემცირების მნიშვნელობაზე რუსულ ენერგორესურსებზე, რუსეთის გვერდის ავლით ალტერნატიულ ენერგო წყაროების მოძიებაზე, მათ შორის საქართველოს გავლით, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე საქართველოსთან მიმართებით და ნატო-ს გაფართოების მნიშვნელობაზე აღმოსავლეთით.

გთხოვთ, იხილოთ ინტერვიუს სრული ვერსია:

<https://www.facebook.com/1stchannel.1tv.ge/videos/1050720488894137>

გიორგი არზიანი - განათლების საკითხების მკვლევარი



ფინანსების გავლენა განათლების პოლიტიკაზე

თარიღი: 25.10.2022

განათლების თითოეულ საფეხურზე დროული ფინანსური ინვესტირება და რესურსების სწორად განაწილება მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის ადამიანური კაპიტალის

განვითარებისთვის. ევროპის განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD) მოუწოდებს სახელმწიფოებს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ სკოლამდელ და ზოგად განათლებაზე, ვინაიდან ემპირიული მტკიცებულებების მიხედვით, ფინანსებისა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას ყველაზე დიდი გავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე სწავლების ადრეულ წლებში აქვს.

ფინანსური რესურსების გავლენის მიუხედავად, განათლებაზე გაწეული მაღალი დანახარჯი არ არის საუკეთესო შედეგის გარანტი. შედეგებზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, განსაკუთრებით, კი პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

ხელისუფლებების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების რესურსებით უზრუნველყოფა, მათ შორის, მათი იმგვარი გადანაწილება, რომ ეფექტიანად დააკმაყოფილოს სისტემის საჭიროებები, პრიორიტეტები და შესაძლებლობები განათლების დაფინანსების პოლიტიკის ქვაკუთხედიანია. შესაბამისად, რესურსების მობილიზებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი თანაბარი გადანაწილება.

მნიშვნელოვანია განათლების პოლიტიკის სისტემური ხედვის განსაზღვრა და მისი დანერგვა ქვეყნის სოციო-ეკონომიური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითებმა აჩვენა, რომ არ არსებობს იდეალური სისტემა, რომელიც ყველა ქვეყანაში გაამართლებს, თუმცა ერთი რამ ნათელია, ძლიერი

განათლების სისტემის შესაქმნელად ფინანსური რესურსების მობილიზება მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორია. განსაკუთრებით ყურადსაღებია განსხვავებული საჭიროებების მქონე ჯგუფებისათვის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც საჭიროებებზე მორგებული დაფინანსებითა და რესურსების თანაბარი განაწილებით მიიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლება მნიშვნელოვანია ინდივიდებისთვის, ის ემსახურება უფრო დიდ მიზანს, რაც გულისხმობს ეკონომიკურად ძლიერი, დემოკრატიული, ინკლუზიური და მერიტოკრატიული სახელმწიფოს აშენებას.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://www.geocase.ge/ka/publications/846/finansebis-gavlena-ganatilebis-politikaze>

სალომე ბლადაძე - „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი



ფსევდო-ღირსების

სადარაჯოზედ: ქალი, როგორც

„ღირსების“ თამასა

თარიღი: 23.07.2022

საქართველოში, სადაც ქალებზე

ფსიქოლოგიური და ფიზიკური

ძალადობა ისევ და ისევ აქტიურ

მოვლენად რჩება, გენდერული სტერეოტიპები ჯერ კიდევ ღრმად არის დამკვიდრებული. განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა ე.წ. „ღირსების“ სახელით ჩადენილი ძალადობა. ამ დანაშაულის პრევენცია და მისი აღმოფხვრა სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, გენდერული დისკრიმინაცია შეინიშნება არა მხოლოდ ქალებში, არამედ ასევე პუბერტატულ ასაკში მყოფ გოგონებში. ადრეული ასაკიდან ხდება ისეთი გენდერული სტერეოტიპების ჩანერგვა, როგორცაა ქალის მორჩილება და მამაკაცის უპირობო ბატონობა სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართულ საზოგადოებაში ნათლად არის განსაზღვრული ქალის ფუნქცია-მოვალეობები. ქალის სახე ძირითადად ასოცირებულია აპრიორი დედის და მორჩილი მეუღლის იმიჯთან.

გთხოვთ, იხილოთ სტატიის სრული ვერსია:

<https://geocase.ge/ka/publications/797/fsevdo-ghirsebis-sadarajozed-qali-rogorc-ghirsebis-tamasa>

„ჯეოქეისის“ ალუმნი

„ჯეოქეისის“ წარმატებული სატრენინგო პროექტის განხორციელების შემდგომ კურსდამთავრებულთა ალუმნი ქსელში გაწევრიანებულ სტუდენტებს, ახალგაზრდა მკვლევრებს წლის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ორგანიზაციის ერთიანი ქოლგის ქვეშ „ჯეოქეისის“ ანალიტიკოსებთან ერთად ემუშავათ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. ასევე, გამოექვეყნებინათ სტატიები მათთვის საინტერესო საკვლევო თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე. <https://geocase.ge/ka/alumni>

„ჯეოქეისის“ ალუმნი ქსელის მიზანია სტუდენტების მხარდაჭერა, „ჯეოქეისის“ მიმდინარე და სამომავლო პროექტებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა.

„ჯეოქეისის“ ალუმნი ქსელის ამოცანაა ხელი შეუწყოს ქსელში გაერთიანებულ წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და გრძელვადიანი პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებას.



„ჯეოქეისის“ ალუმნის, ილია ჯახაიას ორგანიზებით ხათუნა ბურკაძემ და გიორგი აბაშიშვილმა ახალგაზრდებისათვის საჯარო ლექციები ჩაატარეს

თარიღი: 29.12.2022

ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მიმართულების დირექტორმა, ხათუნა ბურკაძემ და ეკონომიკური მიმართულების დირექტორმა, გიორგი აბაშიშვილმა ახალგაზრდებისათვის საჯარო ლექციები ჩაატარეს. აღნიშნული შეხვედრები, გაერო-ში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის, დავით ესათიას ინიციატივითა და „ჯეოქეისის“ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამის კურსდამთავრებულის, ილია ჯახაიას ორგანიზებით განხორციელდა.

„ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მიმართულების დირექტორმა, პროფესორმა ხათუნა ბურკაძემ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა როგორც გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, ასევე იმ კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე, რომლებიც აღნიშნული ორგანიზაციების გაფართოებასთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებებს განსაზღვრავენ.

„შიდა დაპირისპირებებმა არ უნდა შეაფერხონ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის დაჩქარების ისტორიული პროცესი, რომლისთვისაც ჩვენმა წინაპრებმა იბრძოლეს და ჩვენ თავად ვიბრძვით. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების უზრუნველყოფა ეროვნულ თანხმობას მოითხოვს. ეროვნული თანხმობის საფუძველზე შემუშავებული ქვეყნის განვითარების საერთო დღის წესრიგი და მის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები ხელს შეუწყობენ ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სატატუსის მოპოვებას, რომელიც ჩვენი ევროპული, უკეთესი მომავლისათვის აუცილებელია“, - აღნიშნა ხათუნა ბურკაძემ.


„ჯეოქეისის“ ეკონომიკური მიმართულების დირექტორმა, გიორგი აბაშიშვილმა ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრა. მან ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელობაზე იმსჯელა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, საშინაო და საგარეო მუქარების აღკვეთას, წინასწარი ზომების მიღებასა და მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებას.

ინფოგრამები



„ჩვენ ისტორიულად ვართ
ევროპული სივრცის
შემადგენელი ნაწილი.
იმისათვის, რომ აღდგეს სრული
სამართლიანობა, ჩვენ უნდა
გავხდეთ ევროპული
პოლიტიკური სივრცის
ნაწილიც.“

ვიქტორ ყიფიანი
„ჯეოქეისის“ თავმჯდომარე



შიდა დაპირისპირებებმა არ
უნდა შეაფერხონ ქვეყნის
ევროპული ინტეგრაციის
დაჩქარების ისტორიული
პროცესი, რომლისთვისაც
ჩვენმა წინაპრებმა
იბრძოლეს და ჩვენ თავად
ვიბრძვით.

ხათუნა ბურკაძე
„ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის
მიმართულების დირექტორი





“სადაზვერვო ინფორმაციასა და ძლიერ სპეცსამსახურებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ როგორც ომში, ასევე, მთლიანად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. მეორე მსოფლიო ომის დასრულებასა და ცივი ომის მსვლელობაში უდიდესი როლი გააჩნდათ სპეცსამსახურებს, რომლებიც ერთი მხრივ ახორციელებდნენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას მტრის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ სხვადასხვა ღონისძიებების გზით, მტრის შეკავებას, როგორც ლეგალური, ასევე, არალეგალური მეთოდებით. სწორედ ცივი ომის დროს განვითარდა ბევრი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მეთოდი, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება სპეცსამსახურების მიერ”

ნიკოლოზ ხათიაშვილი

“ჯეოქეისის” მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, საერთაშორისო მდივანი